ლეიერკო / LayerCo

www.layerco.org ელ.ფოსტა: info@layerco.org d.darejanashvili@gmail.com
მის: თბილისი, ზ. ფალიაშვილის 80ა, 0179

ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ რუისის მიმდებარედ, ე.წ. მალხაზის წვერზე განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების ტექნიკური ანგარიში

თარიღი	08.06.2026
პროექტის ხელმძღვანელი	დავით დარეჯანაშვილი
ექსპედიციის საველე ხელმძღვანელი	ჯონი აბულაძე
ექსპედიციის წევრები	საბა ჯოხაძე, თამარ გიორგაძე სულხან ხარაბაძე, ლანა ჩოლოგაური
ხელმოწერა	

თბილისი

2026

სარჩევი

შესავალი 3
1. არქეოლოგიური გათხრების წინაპირობა 5
2. საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა 8
3. მეთოდოლოგიური გზამკვლევი 18
   საველე-არქეოლოგიური სამუშაოები 18
   საველე-საბაზო ლაბორატორიული სამუშაოები 20
4. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში 22
   თხრილი 1 23
   საცდელი თხრილი - TT01 29
   საცდელი თხრილი - TT02 32
5. ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა 35
   თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ანტიკური ხანა) 35
      კრამიტის ფრაგმენტები 36
   გვიანბრინჯაოს პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები 36
   ბრინჯაოს არტეფაქტები 37
      თხრილი 1, ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი (ზედაპირული მასალა) 37
   ძვლისა და სარდიონისგან დამზადებული მძივები 38
   თიხის რქისებრი შვერილები 38
   ზოომორფული ქანდაკებების ფრაგმენტები: 38
   ნატკეცი ქვის მასალა (ობსიდიანი, კაჟი) 39
   ზოოარქეოლოგიური მასალა 39
6. დასკვნა და რეკომენდაციები 40
   დასკვნა 40
   რეკომენდაციები 42
გამოყენებული ლიტერატურა: 43
დანართი 1 - არქეოლოგიური მასალის სტატისტიკური მონაცემები 44
   ცხრილი 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები 44
   ცხრილი 2. კრამიტის ფრაგმენტები 45
   ცხრილი 3. ნატკეცი ქვის მასალა (ობსიდიანი, კაჟი) 46
   ცხრილი 4. ზოოარქეოლოგიური მასალა 47
დანართი 2 - ფოტომასალა 49

შესავალი

დოკუმენტი შედგენილია **შპს "ლეიერკო"-ს** (ს/კ 405721713) მიერ, კომპანია **სს 'ვინდ ფაუერი"**-ს დაკვეთით. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. რუისთან აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლზე ჩატარებული მესამე ეტაპის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა სოფელი რუისის მიმდებარე არეალზე მიმდინარე ქარის ელექტროსადგურის სამშენებლო პროექტის ფარგლებში.

ქარელის მუნიციპალიტეტში სოფ. რუისის ტერიტორიაზე სს „ვინდ ფაუერი"-ს მიერ დაგეგმილია ქარის 33 ცალი ტურბინის, ელექტროსადგურის და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, რომლის პროექტირების პროცესში მოხდა საპროექტო ტერიტორიის წინასწარული ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვა.

მშენბელობის ეტაპზე კულტურული მემკვიდრეობის საველე მონიტორინგის ჯგუფმა ტურბინა T01-ს მიმდებარე არეალზე დააფიქსირა შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები, კერძოდ, კერამიკული მასალა და - ქვით ნაგები კედლის ფრაგმენტები, რომელიც გაიწმინდა და დაკონსერვდა (იხ. ანგარიში RUWF-CF02).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილის N 17/1410 საფუძველზე, არქეოლოგიური ძეგლის ხასიათისა და ქრონოლოგიის დადგენის მიზნით, ასევე ძეგლის მნიშვნელობიდან და მისი დაზიანებისგან პრევენციის მიზნით, აღნიშნულ არეალზე 2026 წლის აპრილი-მაისის თვეში განხორციელდა გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრები.

არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს **No 6/12/22** ნებართვის საფუძველზე. არქეოლოგიურ გათხრებში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდა ხუთი ადგილობრივი დამხმარე პერსონალი. არქეოლოგიური ექსპედიცია სრულად დაფინანსდა სს „ვინდ ფაუერის" მიერ, ხოლო სამუშაოები შესრულდა შპს „ლეიერკო"-ს

ეგიდით EBRD -ს სტანდარტების სრული დაცვით და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში აღიარებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროექტის ხელმძღვანელია არქეოლოგი დავით დარეჯანაშვილი, ხოლო საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს უძღვებოდა არქეოლოგი ჯონი აბულაძე. პარალელურად, პროექტის ფარგლებში გრძელდებოდა საველე არქეოლოგიური მონიტორინგი. საველე სამუშაოებში და ანგარიშის წერის პროცესში ჩართულები იყვნენ არქეოლოგები: საბა ჯოხაძე, თამარ გიორგაძე, სულხან ხარაბაძე, ლანა ჩოლოგაური, ნიკოლოზ ვანიშვილი (არქეოზოოლოგი) და ინგა მარტყოფიშვილი (პალინოლოგი). საველე, აერო და ორთოფოტოები გადაიღო და დაამუშავა არქეოლოგმა საბა ჯოხაძემ. საველე სამუშაოები მიმიდნარეობდა 2026 წლის 19 აპრილიდან ამავე წლის 19 მაისის ჩათვლით. ანარიშის შედგენის ეტაპზე გაგრძელდა ლაბრატორიული სამუშაოები. გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტების ადგილობრივი მუზეუმისთვის გადაცემამდე, ჩატარდება მასალის ინვეტარიზაცია.

1. არქეოლოგიური გათხრების წინაპირობა

ქარელის მუნიციპალიტეტში სოფ. რუისის ტერიტორიაზე სს „ვინდ ფაუერი"-ს მიერ დაგეგმილი ქარის ელექტროსადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის პროექტის ფარგლებში ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის მუდმივი მონიტორინგი. მონიტორინგს ახორციელებს კომპანია შპს „ლეიერკო".

საველე მონიტორინგის ჯგუფმა პროექტის მიმდინარეობისას დააფიქსირა არაერთი საყურადღებო არქეოლოგიური აღმოჩენა, რომელთა შორის აღსანიშნავია ტურბინა T01-ის სამშენებლო არეალის მიმდებარე ტერიტორიის შემთხვევითი აღმოჩენები. სწორედ ეს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა გახდა წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრების წინაპირობა.

ქვემოთ მოცემულია კომპანია „ლეიერკო"-ს მიერ შედგენილი მონიტორინგის შუალედური ანგარიშის (18.12.2025) მოკლე ანალიზი, რომლის საფუძველზეც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გასცა აღნიშნულ ლოკაციაზე გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრების ჩატარების რეკომენდაცია.

2025 წლის ივნისიდან ტურბინა T01-ზე მიწის მოხსნის სამუშაოები გარკვეული ინტერვალებით ხორციელდებოდა. აღნიშნული ლოკაციაზე სამუშაოების დაწყებამდე ჩანდა, რომ შემაღლების ცენტრალური ნაწილი მრავალჯერ იყო მძიმე ტექნიკით მოხსნილი და ჩაჭრილი. ამ სტრატეგიულ სიმაღლეზე ჯერ ქართველები, ხოლო შემდგომ რუსი სამხედროები იყვნენ დაბანაკებული 2008 წლის საომარი მოვლენების დროს. ცენტრში ამოთხრილია ტანკების ჩასაყენებლად განკუთვნილი თხრილები, ხოლო დაფერდებებთან გაჭრილია სავალ-სანგრები. აღნიშნული ლოკაციაზე რელიეფის ზედა დონე მთლიანად იყო დაზიანებული ტექნიკის მიერ. შესაბამისად, უშუალოდ ბორცვის წვერზე, ტურბინის სამშენებლო მოედანზე, კულტურული ფენები არ დაფიქსირებულა.

განსხვავებით T01-ის სამშენებლო მოედნისა, არქეოლოგიური მასალის შემცველი ფენები დაფიქსირდა სამშენებლი ზონის გარეთ, ორ ლოკაციაზე: ბორცვის დასავლეთ ფერდზე - ლოკაცია 1; ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე - ლოკაცია 2.

ლოკაცია 1. T01 - ისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარე. GPS კოორდინატები - E4162795089 / N46561902743; E4162672554 / N46561915950; E4162672524 / N46561915960; E4162744238 / N46562055835; Alt.840-841 m. აღნიშნულ ლოკაციაზე ტრაქტორით ჰუმუსის ზედა ნაწილის მოხსნისას დაფქსირდა თიხის ჭურჭლის ნატეხები (რაოდენობა - 43 ც.). აღნიშნული მონაკვეთი მაშინვე შემოისაზღვრა და კერემიკული მასალა აიკრიფა. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადგილი სამშენებლო ზონის გარეთ ექცეოდა, აქ მიწის სამუშაოები არ გაგრძელებულა.

ლოკაცია 2. T01 -ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი. GPS კოორდინატები - E4163709808 / N46561038172; E4163814844 / N4646561109636; E4163904880 / N465661276821; E4163987093 / N46561248104; E416405565648 / N46561573215. T01-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სამშენებლო მოედნის გარეთ დასაწყობებული იყო ამავე სამშენებლო მოედანის მომზადებისას მოხსნილი ჰუმუსი, რომლის აღების დროს მოიხსნა იქ არსებული ჰუმუსის ზედა დონე. სამუშაოებისას გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რაც ადასტურებს, რომ მონაკვეთი შეიცავდა არქეოლოგიურ ფენებს. ლოკაციაზე შეწყდა ყველანაირი ტექნიკის გადაადგილება და ადგილი შემოიღობა ფერადი ლენტით. თიხის ჭურჭლის ნატეხების აკრეფის პროცესში გამოვლინდა კედლის ფრაგმენტი. მისი ზედა ფხვიერი ფენა გადაიწმინდა გავრცელების მასშტაბის გამოვლენის მიზნით.

აღმოჩენილი კედელი ნაგებია ქვიშაქვის ორი მწკრივისგან, ორივე საფასადო მხარე გასწორებული აქვს. კედლის დაფიქსირებული სიგრძე - 6,40 მ. სიგანე - 0,80 მ-დან 1 მეტრამდეა. კედლის თარიღის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგანაც თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელიც კედელზე და მის ირგვლივ აიკრიფა, არ იძლევა მყადრი დასკვნების გაკეთების საშაულებას. კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში

მიმოფანტული იყო შუა საუკუნეების პერიოდის კერამიკა, ხოლო უშუალოდ კედელთან დაფიქსირდა გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატკეცები.

კულტურული მემკვიდრეობის საველე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, არეალის არქეოლოგიური შესწავლის გარეშე აღნიშნულ კედელს პერიოდის დადგენა ვერ მოხერხდა. კედლის გამოვლენილი ნაწილის დეტალური დოკუმენტირების შემდეგ მოხდა მისი კონსერვაცია. ქვების წყობა დაიფარა ორმაგი პოლიეთილენით, რომელიც დაიფარა 20 სანტიმეტრამდე სისქის მიწით.

კომპანია „ლეიერკო"-ს მიერ ზემოთაღნიშნული ინფორმაციის შუალედური ანგარიშის სახით წარდგენის საფუძველზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გასცა წერილი N 17/1410. აღნიშნული წერილის საფუძველზე, არქეოლოგიური ძეგლის ხასიათისა და ქრონოლოგიის დადგენის, ასევე ძეგლის მნიშვნელობისა და მისი დაზიანებისგან პრევენციის მიზნით, გაიცა არქეოლოგიურ ობიექტზე გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრების ჩატარების რეკომენდაცია.

არქეოლოგიურ ობიექტზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს No 6/12/22 ნებართვის საფუძველზე.

ჩატარებული სამუშაოების ანგარიში იხილეთ შემდეგ ქვემოთ.

2. საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა

შესასწავლი არეალი, მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეში - შიდა ქართლში.

მდინარე მტკვრის შუა წელი, თავისი მარჯვენა და მარცხენა შენაკადებითა და მათი ხეობებით, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონია, რაც აიხსნება მისი მდებარეობითა და ისტორიული მნიშვნელობით. გარდა იმისა, რომ შიდა ქართლი მუდმივად იყო ქართული სახელმწიფოების პოლიტიკური და გეოგრაფიული ცენტრი, მდინარე მტკვრის ხეობა ეპოქების მანძილზე წარმოადგენდა საერთაშორისო მიმოსვლის არტერიას. სწორედ ამ მოცემულობამ განაპირობა ის, რომ მდინარე მტკვრის შუა წელის აუზში ვხვდებით ქრონოლოგიურად ათასწლეულებით და ასწლეულობით დაშორებული ეპოქის არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლებს უწყვეტად. მათ შორის არის როგორც ნაქალაქარები და ნასოფლარები თავისი სამაროვნებითა და საკულტო თუ სათავდაცვო ნაგებობებით, ისე ცალკე მდგომი ციხეები, კოშკები, ეკლესია-მონასტრები და საინჟინრო ნაგებობები. არქეოლოგიური და არქიტექტურული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ერთი ნაწილი ისტორიული თვალსაზრისით ღირებულ ობიექტს წარმოადგენს, მეორე ნაწილი კი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, რომელთა შორისაა ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები.

რუისი მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისტორიული სოფელია, რომლის სახელიც უნდა მოდიოდეს სიტყვა „რუ“-დან. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს იმ არხის სახელწოდება, რომელიც სოფელს დღესაც უვლის ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. ფიქრობენ, რომ რუისი ანტიკური ხანის ქალაქ ურბნისის სამეურნეო ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო. VI საუკუნეში იგი უკვე საეპისკოპოსო ცენტრია,

რაზეც მიუთითებს მროველის მოხსენიება 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის .

სოფლის ტარიტორიაზე შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დიდი ნაწილი სოფლის ჩრდილოეთით, გორის თხემზე მდებარეობს, ზემო რუს მარცხენა მხარეს. ყველა დარბაზული ნაგებობაა. მათგან ადრეული შუა საუკუნეებისაა **წმ მარინეს ეკლესია** (#10632); XIV-XV სს თარიღდება **წმ. დიმიტრის სახელობის ეკლესია თანადროული სამაროვნით** (#8033) და **წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია** (#8030), ხოლო XVIII საუკუნეშია აგებული **კვირაცხოვლის ეკლესია** (#21164).

რუისის მთავარი, და საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი, ტაძარია სოფლის დასავლეთ ნაწილში მდებარე **ფერისცვალების სახელობის ტაძრის კომპლექსი** (#10630). გადმოცემით, რუისის ტაძარი ვახტანგ გორგასალს აუგია, თუმცა, ამ დროის ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. უძველესი სამშენებლო ფენა, რომელიც დღევანდელ ეკლესიაში განირჩევა VIII-IX სს განეკუთვნება. X საუკუნეში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ. მომდევნო საუკუნეში გიორგი ეპისკოპოსს იგი კვლავ განუახლებია და მოურთავს, რაზეც ტაძრის ორსტრიქონიანი წარწერა ყვება. თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს ტაძარი ძლიერ დაზიანებულა და ის საფუძვლიანად აღუდგენია ალექსანდრე დიდს. ტაძარი XVI საუკუნეში კიდევ ერთხელ აღუდგენია მროველ პისკოპოსს დიონისე ლარაძეს, ხოლო XVII საუკუნეში მარიამ დედოფალს.

ფერისცვალების ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკვდერებითა და დასავლეთის სტოით. ტაძრის ფასადები შემკულია სხვადასხვა პერიოდის რელიეფებით, რომელთა თარიღი ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე ვრცელდება. ტაძარში შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების მხატვრობის ფრაგმენტები. კომპლექსის შემადგენელი ნაწილია ტაძრის დასავლეთით გვიან შუა საუკუნეებში აგებული სამსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართული კარიბჭის როლს ასრულებს; მეორე სართულზე საეპისკოპოსო სენაკია; ხოლო მესამე სართული ორ-ორი თაღით გახსნილ სამრეკლოს ფანჩატურს

წარმოადგენს . კომპლექს გარს უვლის გვიანი შუა საუკუნეების გალავანი. რუისის ფერისცვალების ტაძარი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია.

რუისის ჩრდილოეთით, 1 კმ მანძილზე ადგილ სერებზე მდებარეობს **არქეოლოგიური ობიექტი ნასოფლარი (#21165).** ეს არის გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარი, რომლის ტერიტორიაზე დასტურდება წითლად გამომწვარი, უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები და ქვევრის ფრაგმენტები, რომელთა ზედაპირიც კირითაა შელესილი. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები რამდენიმე შენობის საძირკვლის ნაშთი.

საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე არეალზე მდებარეობს ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - ურბნისის ნაქალაქარი, რომელიც ანტიკური ქართლის სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქს წარმოადგენდა. **ნაქალაქარი ურბნისი (#10618)** გაშლილი იყო დღევანდელი სოფელ ურბნისის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ქალაქი ურბნისი ქართულ წყაროებში უკვე ძვ.წ. IV საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიება, ხოლო არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან ურბნისი მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა იბერიის სამეფოში. მის დაწინაურებას განაპირობებდა აქ გამავალი დასავლეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო მაგისტრალი, რისი წყალობითაც ქალაქის მოსახლეობა ეთნიკურად ჭრელი, ელინიზებული და განვითარებული იყო.

ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევა გასული საუკუნიდან დაიწყო. ამ დროს დღევანდელი სოფლის სხვადასხვა ნაწილში გაითხარა არა მხოლოდ ქალაქის შემადგენელი უბნები, სამაროვნები და ნაგებობათა ნაშთები, არამედ დადასტურდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოსახლეობის ცხოვრების კვალი ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ახ.წ. VIII საუკუნის ჩათვლით.

ურბნისის პრეისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია **ხიზანაანთ გორის არქეოლოგიური ძეგლი (#20234),** რომელიც მდებარეობს სოფლის შუა ნაწილში, სამხრეთ კიდეში, ურბნისის საკათედრო ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის პირას. იგი ოთხივე მხრიდან ბუნებრივი და ხელოვნური ხევებითა თუ თხრილებით იყო

გამოყოფილი თავდაცვის მიზნით. გორაზე დადასტურებულია ადრებრინჯაოს, ანტიკური და ადრეშუა საუკუნეების 12 კულტურული ფენა, რომლის საერთო სისქე 8 მეტრს აღწევს. გორაზე გაითხარა მტკვარ-არაქსის კულტურის მახასიათებელი ოთხკუთხა სახლები, ცენტრში თიხის შვერილი კერებით, ელინისტური ხანის საკულტო ნაგებობა და სათავსები და ურბნისის ქალაქის კონტრფორსებიანი გალავანი.

ანტიკური ხანის ურბნისის ნაქალაქარის ნაშთებიდან უმნიშვნელოვანესია ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთი უბანი, სადაც გაწმენდილია გალავანი (#17404), ნახევარწრიული ბურჯი, აბანო (#17408) და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები.

ურბნისის ნაქალაქარის შემადგენელი ნაწილია სოფელში, მდინარე მტკვრიდან 160 მეტრში მდგარი ურბნისის საკათედრო ტაძრის კომპლექსი, რომელიც საქართველოს ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. კომპლექსი შედგება სამნავიანი ბაზილიკის (#7236), XVI საუკუნის სამრეკლოსა (#10616) და გალავნისგან, მარნისა (#17410) და წყალსადენისგან (#17411). ურბნისის ეკლესია V-VI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული, ერთ-ერთი უდიდესია ბაზილიკებს შორის და ამდენად, ბოლნისის სიონთან ერთად, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფს მიეკუთვნება.

ქვაცხელების არქეოლოგიური ძეგლი. ურბნისის ნაქალაქარის აღმოსავლეთით 2 კმ-ზე (კოორდ. 42.007326 44.002108) მდებარეობს ქვაცხელების მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი. მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის ტერასაზე გასული საუკუნის 50-60-იან წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა სამფენიანი ნასოფლარი (#20231) და ორი სამაროვანი (#20232). ნასოფლარის უადრესი ფენა ადრე ბრინჯაოს ეპოქის, მტკვარ-არაქსული კულტურის საწყისი ეტაპით თარიღდება. ამ ფენაში გაიწმინდა 25 ალიზით ნაგები წრიული/კუთხეებმომრგვალებული შენობის ნაშთი, რომელთა შორის უნდა ყოფილიყო სავარაუდო საკულტო ტაძარიც. მასალის მიხედვით, სამოსახლო პატრიარქალურ

ოჯახებს ეკუთვნოდათ, რომლებიც მიწათმოქმედებას, კერამიკის წარმოებას და მწყემსურ მესაქონლეობას მისდევდა და უკვე იცნობდა ბრინჯაოს მეტალურგიას. ქვაცხელას გორის ზედა სამოსახლო ფენა ურბნისის ქალაქობის ბოლო პერიოდის (VI-VIII სს.) დროინდელია. გორის ჩრდილოეთით მდებარეობს „ტვლეპია წყაროს“ სამაროვანი (#20233), სადაც გამოვლენილია ქვაყრილიანი ორმოსამარხები.

სოფლების რუისისა და ურბნისის მიმდებარედ გამოვლენილია არაერთი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც რეგიონის პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. აღნიშნულ არქეოლგიურ ძეგლთა ნაწილზე დადასტურებული ჩვენ მიერ შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლის სინქრონული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ფენებიც.

არადეთის ორგორა მდებარეობს სოფელ დოღლაურის მახლობლად, მდინარე მტკვრისა და დასავლეთ ფრონის შესართავთან. ყველაზე მაღალია დასავლეთის გორა, ე. წ. დედოფლის გორა, რომელიც მრავალფენიანი ნამოსახლარია. დედოფლის გორაზე დადასტურდა ენეოლითის, ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, ადრერკინის, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ფენები. ანტიკური ხანის ფენა წარმოქმნილია სასახლისა და სამეურნეო ნაგებობების ნანგრევებით. დედოფლის გორის სასახლე თარიღდება ძვ. წ. I–ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრით. ძეგლზე აღმოჩენილია გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის ადგილობრივი არისტოკრატიის კუთვნილი ფუფუნების ნივთები, იმპორტული და ადგილობრივი ნაწარმი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები და სხვა.

ორგორის მახლობლად, ჩრდილოეთით, მდებარეობს კიდევ ერთი გორა: მასზე გამოვლინდა ადრე, შუა და გვიანბრინჯაო, ადრერკინის ხანის ნამოსახლარები.

დოღლაურის სამაროვანი მდებარეობს არადეთის ორგორის ჩრდილოეთის გორის დასავლეთით, მინდორში. აქ აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანი. თავდაპირველად გაითხარა 13 ორმოსამარხი. მათში აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის გვიანდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი მოშავოდ და მოვარდისფროდ

გამომწვარი თიხის ჭურჭელი; ვერცხლის, ანთიმონისა და ბრინჯაოს სამკაული, კაჟის ისრისპირები. ამავე არეალზე თბილისი-სენაკის გზის გაყვანისას აღმოჩნდა და გაითხარა 550 სამარხი, საიდანაც 68 მტკვარ-არაქსის პერიოდს მიეკუთვნა, დანარჩენი კი გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანას. სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ასევე გაითხარა ყორღანი. დასაკრძალავ ორმოს ხელნიანი ეტლის ფორმა ჰქონდა. ყორღანში აღმოჩნდა ცხენის აღკაზმულობა, მათ შორის, ბრინჯაოს გეომეტრიული ორნამენტით შემკული ბორბლისებურ საყბეურებიანი ლაგამი, ბრინჯაოსა და სარდიონის მძივები, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

სატაძრო კომპლექსი-დედოფლის მინდორი #17579 ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. კომპლექსი მდებარეობს მდინარეების აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრონეებს შორის, სოფ. არადეთიდან დასავლეთით, 3 კმ-ზე. ძეგლი თარიღდება ძვ.წ. I ს-ით. 1972-78 წწ. დედოფლის მინდორზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ხოლო 1973 წ. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციებმა (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე). კომპლექსში შედის საკულტო ნაგებობათა სისტემა - ტემენოსი, ტაძრის მსახურ-ქურუმთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ტაძრის მონების დასახლებები (ნასოფლარები) და სამაროვნები. ადგილი, სადაც ტემენოსი აღმოჩნდა, წმ. გიორგის ნიშის სახელითაა ცნობილი. აქ გამოვლინდა მთავარი და მცირე ტაძრები, 6 სხვა ტაძარი, კარიბჭეები და რამდენიმე სხვა ნაგებობა. სატაძრო კომპლექსის აღმოსავლეთით, უშუალოდ მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დადასტურდა რიყის ქვით ნაგები კედლების ნაშთი, ძვ.წ. II-I სს-ის კერამიკული ნაწარმი და სხვ. სავარაუდოა, აქ მდებარეობდა ტაძრის ქურუმთა სამოსახლო და სამეურნეო ნაგებობები. უფრო აღმოსავლეთით, ტემენოსიდან 1 კმ-ის მანძილზე, ე.წ. დამპალას წყაროს ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაბალ ბორცვზე აღმოჩნდა ელინისტური ხანის დასასრულის

სასახლის ტიპის კაპიტალური ნაგებობის ნაშთები. სასახლის ჩრდილოეთით, ბორცვის ძირას მდებარეობდა ამავე ხანის სამაროვანი.

გვიან ანტიკურ და ადრე შუასაუკუნეებში სასახლის ბორცვის დასავლეთ ფერდობზე მდებარეობდა ვრცელი სოფელი. ტემენოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით 400 მ. მანძილზე გამოვლინდა ძვ.წ. II-I სს. ტაძრის კუთვნილი სახელოსნოები და მონა-ხელოსანთა სამოსახლო. ხელოსანთა სამოსახლოს სამხრეთით და ტემენოსის დასავლეთით, 280 მ. მანძილზე, მდებარეობს ადრე შუასაუკუნეების ხანის ნასოფლარი. ელინისტური და გვიან ანტიკური ხანის ნასოფლარი და სამაროვანი მდებარეობს ტემენოსის ჩრდილო-დასავლეთით, 600 მ-ზე. ნასოფლარის დასავლეთით მდებარეობს ანტიკური ხანის სამაროვანი (VII-VI სს.). ადრე შუასაუკუნეების სამარხები (ქვაყუთები) აღმოჩნდა სატაძრო კომპლექსის სამხრეთით, ტაშისკარის არხის მარჯვენა ნაპირზე, აგრეთვე ორ ადგილზე: დედოფლის მინდვრის განაპირას, ჩრდილოეთით, კვერნაქის სერის სამხრეთ ფერდობზე, ე.წ. პარასკევას გორაზე და სისხლის ჯვრის მახლობალდ.

ე.წ. დამპალას წყაროსთან, ტემენოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 600 მ-ზე, მდებარეობს გვიან ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამაროვანი. დედოფლის მინდვრის აღმოსავლეთ ნაპირას შემორჩენილია გვიან შუა საუკუნეების კოშკის და სხვა ნაგებობათა ნაშთები. დედოფლის მინდორზე ზედაპირულად აიკრიფა და გათხრების დროს გამოვლინდა ძვ. ქვის ხანის კაჟის, არგილისთისა და ბაზალტის იარაღები და ანატკეცები, ასევე ორი აშელური ხელნაჯახი.

დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი სატაძრო კომპლექსი მიეკუთვნება ძველ-აღმოსავლური ტაძრების ტიპს, რომლებმაც დასრულებული სახე აქემენიდთა ხანაში მიიღო (ცეცხლის ტაძარი სუზაში, ძვ.წ. IV ს.). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წინაქრისტიანული ხანის კაპიტალურ საკულტო ნაგებობათა მთელი სისტემის აღმოჩენა ადასტურებს მაღალორგანიზებული წარმართული კულტის, რთული საკულტო რიტუალისა და განვითარებული სატაძრო მეურნეობის არსებობას ანტიკური ხანის იბერიაში.

ნაცარგორა #24440. ე.წ. ხაშურის ნაცარგორა მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში და წარმოადგენს შიდა ქართლის რაიონში ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული სამოსახლოს ერთ-ერთ გამორჩეულ მაგალითს. ნაცარგორის თხემის ჩრდ-დასავლეთ სექტორში გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის რამდენიმე ჰორიზონტის შემცველი ფენა. სტრატიგრაფიულად განლაგებული თიხატკეპნილი იატაკებისა და ბათქაშების ფრაგმენტებით ივარაუდება შიდა ქართლური ტიპის წნულ-თიხალესილი შენობების არსებობა, იატაკში ჩადგმული მრგვალი, შვერილიანი კერით.

წაღვლის არქეოლოგიური ძეგლები. სოფ. წაღვლის შემოგარენი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. ამ ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებულია ბრინჯაოს 54 ნივთი: გრავირებული კოლხური ცული ყუაზე სკულპტურული გამოსახულებით; მასრაგახსნილი შუბისპირი, რომლის მასრა გრავირებულია; მასრაგახსნილი კავი და ორთითი; დისკოსებურთავიანი საკინძი; მასრაგახსნილი შუბისპირები; სხვადასხვა ტიპის სატევრები; ჭვირული ბალთა და სხვ.

1977 წლიდან სოფ. წაღვლში არქეოლოგიურ გათხრებს ატარებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხაშურის მუნიც-ის ექსპედიცია (ხელმძღ. ალ.რამიშვილი). დაზვერვების შედეგად გამოვლენილია რამდენიმე სამაროვანი და ნამოსახლარი. მათგან სოფ. წაღვლში შესწავლილია ადგილ **„მიქელაანთ ვერხვებში“** მდებარე სამაროვანი და საციხურისგორის ნამოსახლარი, სოფ. ნაცარგორაში მრავალფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი.

სოფ. წაღვლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, მდ. წაღვლურას მარცხენა ნაპირზე, ადგილ „მიქელაანთ ვერხვებში“ მდებარე სამაროვანზე გაითხარა 150 ქვაყრილიანი ორმოსამარხი. თითოეული სამარხი გეგმაში კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმისაა. სამარხები გადახურული იყო ხის ძელებით. 100 სამარხი ინჰუმაციურია, 46 – კენოტაფი, 4 – დანგრეულია. სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია, მხოლოდ 3 სამარხში აღმოჩნდა დაკრძალული 2-2 მიცვალებული. 5 სამარხში დადასტურდა მიცვალებულთა დაკრძალვის მჯდომარე პოზა.

სამაროვანზე აღმოჩნდა 450-მდე სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭელი. საბრძოლო იარაღი: ბრინჯაოს სატევრები და მასრაგახსნილი შუბისპირები, ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირები; ბრინჯაოს სამკაული: სხვადასხვა ტიპის საკინძები (112 ც), სამაჯურები (21 ც), სხვადასხვა ფორმის საკიდები (90 ც), სარდიონის, გიშრის, ანთიმონის, პასტის მძივები (900 ც).

„მიქელაანთ ვერხვების“ სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხებიდან 94 თარიღდება შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით, 52 შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანით, 4 გვიანი ბრინჯაოს ხანით.

ნამოსახლარი **„საციხურის გორა“** მდებარეობს სოფ. წაღვლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე. იგი ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ქედისაგან. გორის სიმაღლეა 20 მ, ფართობი 30X10 მ. გაითხარა ბორცვის თხემი და გაკეთდა სადაზვერვო თხრილები გორის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნამოსახლარი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით.

წაღვლიდან სამხრეთით სოფ. ნაცარგორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფლეულას ნაპირზე გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარი. დადასტურდა ადრებრინჯაოსა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენები. ადრე ბრინჯაოს ხანის ფენაში გამოიყო 4 სამშენებლო ჰორიზონტი, რომლებიც ძლიერ იყო დაზიანებული და მხოლოდ თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტებს შეიცავდა. I-II სამშენებლო ჰორიზონტი შეიცავდა მხოლოდ ე. წ. „მტკვარ-არაქსის კულტურისათვის“ დამახასიათებელ კერამიკას, ხოლო III-IV ჰორიზონტებში მტკვარ-არაქსის კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ბედენური კერამიკაც. გვიან ბრინჯაოს ხანის ფენაში გამოიყო 5 სამშენებლო ჰორზონტი. ნაგებობები ნაწილობრივაა შემორჩენილი, ატარებენ ძლიერი ხანძრის კვალს. III სამშენებლო ჰორიზონტში დადასტურდა ნახევრადმიწურის ტიპის ნაგებობა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში საკურთხეველი გაითხარა. ამავე ფენაში აღმოჩნდა ჯარგვალის ტიპის ნაგებობა.

ნამოსახლარი ვრცელდება გორის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ველზეც. გორის სამხრეთით გაივლო რამდენიმე სადაზვერვო თხრილი. ფენების სიმძლავრე 4-6 მ-ს აღწევს; ყველაზე ქვედა ფენა თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით, აქ აღმოჩნდა მტკვარ-არაქსისა და ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა. შემდეგი ფენა თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით, შეიცავს 7 სამშენებლო ჰორიზონტს. მათგან I-II ჰორიზონტი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით. გორა ნამოსახლარის ძირთან გავლებულ სადაზვერვო თხრილში დადასტურდა ანტიკური ხანის ნასახლარის ფრაგმენტი (რამიშვილი 1987: 33-35; 1991: 22-25; 1995: 72-74).

ნაცარგორას ნამოსახლარის სამხრეთით აღმოჩნდა მრავალფენიანი სამაროვანი. შესწავლილია 514 სამარხი. მათგან 20 სამარხი თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით, 5 სამარხი – გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით, 151 სამარხი – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით, 338 სამარხი – წინარე ანტიკური და ანტიკური ხანით, ძვ. წ. VIII-IV სს-ით (რამიშვილი 1995: 72-74; 2004: 18; ნარიძე 1995: 74-75).

სოფ. წაღვლსა და სოფ. ნაცარგორაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

3. მეთოდოლოგიური გზამკვლევი

საველე-არქეოლოგიური სამუშაოები

სამუშაოების დასაწყის ეტაპზე დაკომპლექტდა საველე არქეოლოგიური ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ექვსი წევრისგან. მოეწყო საკვლევი არეალი. საკვლევი არეალისგან მოშორებით გამოვყავით ხელსაწყოებისთვის განკუთვნილი ტერიტორია, ასევე საპარკინგე და მოსაწევი სივრცეები. ტერიტორიის მოწყობაში არქეოლოგების ჯგუფს ეხმარებოდა ხუთი ადგილობრივი მუშა, რომლებმაც ჯგუფთან ერთად იმუშავეს ასევე არქეოლოგიური გათხრების ეტაპზე.

აიზომა და ფერადი ლენტით მოინიშნა თხრილების განთავსების არეალი (თხრილების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში). თხრილებში მიწის დაღრმავება განხორციელდა მიწის სამუშაოებისთვის განკუთვნილი ხელსაწყოებით, ფენა-ფენა, სამუშაოების შესაბამისი ეტაპობრივი ფოტოგრაფირებით. თითოეული თხრილის მონაცემები შეჯამდა ქვემოთ მოცემულ ცხრილში. საკვლევ არეალზე სატესტო თხრილების გაჭრის შემდგომ მოხდა მათი დრონით ფიქსაცია და უკან შევსება (რეკულტივაცია).

არქეოლოგიურ ძეგლზე სამუშაოები წარმოებდა შესაბამისად შექმნილ კოორდინატთა სისტემაში (UTM). არქეოლოგიური მონაპოვარების ტექსტური დოკუმენტირების, ფოტო და გრაფიკულ ფიქსაციასთან ერთად მიმდინარეობდა მონაცემების ასახვა ტოტალური აგეგმარების დანადგარით (TMS).

არქეოლოგიურად შესწავლილი თხრილები აისახა სიტუაციურ გეგმებსა და ინდივიდუალურ ნახაზებზე. თითოეულ გაჭრილ თხრილს მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი და შესაბამისი კოორდინატები. თხრილებში გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები აღიწერა და თითოეულს მიენიჭა ინდივიდუალური ნომრები (კონტექსტის ნომრები: არქეოლოგიური ფენა, ჭრილები, სხვადასხვა არქეოლოგიური ელემენტები,

ნაგებობა-სტრუქტურის ნაშთები). თითოეული საკვლევი თხრილის ჭრილი (პროფილი) ჩაიხატა, ფენები აიზომა და მოხდა მათი ფოტოფიქსაცია.

ექსპედიციის მიერ გამოყენებული არქეოლოგიური კონტექსტის კოდირებული რეგისტრაციის მეთოდი შემუშავდა შემდეგი სისტემით: მაგ. **MT26-01-01** - აღნიშნულ კოდში პირველი ორი ლათინური ასო-ნიშანი '**MT**'აღნიშნავს ძეგლის დასახელებას (Malkhazis Tsveri), რიცხვი '**26**' (რიგით მესამე და მეოთხე ციფრები) აღნიშნავს ექსპედიციის ჩატარების წელს (2026 წ). '**01**' (მეხუთე და მეექვსე ციფრები) აღნიშნავს თხრილის ნომერს, ხოლო მეშვიდე და მერვე ციფრები, ამ შემთხვევაში ისევ '01' აღნიშნავს კონტექსტის ნომერს. შესაბამისად აღნიშნული კოდი **MT26-01-01** იშიფრება შემდეგნაირად: მალხაზის წვერი 2026 წ - თხრილი No. 01- კონტექსტი No. 01.

მალხაზის წვერზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ძირითად თხრილთან ერთად გაიხსნა 2 საცდელი თხრილი. საცდელი თხრილებისთვის არქეოლოგიური კონტექსტის კოდირებულ რეგისტრაციის მეთოდში მეხუთე და მეექვსე ასო-ნიშნებად ჩაემატა **TT** (Trial Trench). შესაბამისად, საცდელი თხრილების არქეოლოგიური კონტექსტის რეგისტრაციაში მინიჭებული კოდი - **MT26-TT01-01** იშიფრება შემდეგნაირად: მალხაზის წვერი 2026 წ - საცდელი თხრილი No. 01- კონტექსტი No. 01 (მეშვიდე და მერვე ციფრები აღნიშნავს საცდელი თხრილის ნომერს, მეცხრე და მეათე ციფრები აღნიშნავს კონტექსტის ნომერს).

არტეფაქტებს, მცირე ზომის მონაპოვრებს და საანალიზო სინჯებს ასევე მიანიჭათ დამატებითი ნომრები. საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტები გატარდა ერთიან მონაცემთა ბაზაში: საიდენტიფიკაციო კოდთან ერთად თითოეულ არტეფაქტს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი მაგ. **MT26-001** (ნუმერაცია განგრძობითია: MT26-002, MT26-003 და ა.შ.). შესაბამისად, 001 - არის რეგისტრირებული არტეფაქტის ინდივიდუალური ნომერი, რომელიც აღმოჩნდა მალხაზის წვერზე 2026 წლის აღნიშნული არქეოლოგიური გათხრების ფარგლებში.

აღნიშნულ ნომერს მონაცემთა ბაზაში დართული აქვს არტეფაქტის მოპოვების გარემოებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია (ძეგლი, თხრილი, კოორდინატები, სიმაღლებრივი მონაცემები და სხვ).

თხრილებში, თითოეულ არქეოლოგიურ ფენაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, შესაბამისი ფენისა და კოორდინატების მითითებით აღინუსხა და მოთავსდა ეტიკეტიან პარკებში.

სხვადასხვა *in situ* (უძრავი არქეოლოგიური ფენა) ფენებიდან აღებულია მიწის ნიმუშები ლაბორატორიული ანალიზებისათვი და სინჯები რადიოკარბონული დათარიღებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული არქეოლოგიური ფენებიდან აღებული მიწის მასა იცრებოდა.

საველე-საბაზო ლაბორატორიული სამუშაოები

სოფელ რუისთან, ადგილ მალხაზის წვერზე განხორციელებული გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების ნაწილი დამუშავდა ექსპედიციის ბაზაზე, რომელიც მოწყობილი იყო სოფ. რუისში, სს ვინდ ფაუერის ადგილობრივ ოფისში. არქეოლოგიური მონაპოვრები გაირეცხა წყლით და დახარისხდა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (კერამიკის, კრამიტის, ძვლის, ობსიდიანის და ა.შ.).

სამუშაო სეზონზე წარმოებდა მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. არქეოლოგიური მასალა აღიწერა და გატარდა საველე-არქეოლოგიურ დავთრებში, შეიქმნა ციფრული მონაცემთა ბაზები.

არქეოლოგიური (მიწის) სამუშაოების მოცულობა:

ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 130 მ²-ს. საკვლევი ფართობის მიმდებარე ტერიტორიების მცეანარეული საფარისგან (ბალახები, ეკალ-ბარდები) და სხვადასხვა სახის ნაგვის ნარჩენებისგან გასუფთავებულმა ფართობმა შეადგინა დაახლოებით 500 მ².

არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები

არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა პროექტის ფარგლებში შედგენილი ტოპო-გეგმის მიხედვით. საკვლევი ტერიტორია დაყოფილია 10 × 10 მ კვადრატებად (არეალებად) (სურ. 2). თითოეულ არეალში, საჭიროებისამებრ, ტოვებდნენ 1-მეტრიან უღელს, ხოლო პროფილების ჩახატვის შემდეგ ხდებოდაა უღელის აღება და არეალების გაერთიანება. არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობისას ხდებოდა შესაბამის კვადრატებში გამოვლენილი ნაგებობების, ცალკეული კედლებისა და სტრუქტურების აზომვა (ზედხედი, ჭრილი) და საერთო სიტუაციურ გეგმაზე დატანა; ფოტოგრაფირება; სტრატიგრაფიული ჭრილების ჩახატვა; მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ლაბორატორიული დამუშავება, ფოტოფიქსაცია, გრაფიკული ფიქსაცია და მათი მონაცემთა ბაზებში რეგისტრაცია.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ეტაპები:

სოფელ რუისთან, ადგილ მალხაზის ქვერზე განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების ფარგლებში სამუშაოები განხორციელდა ეტაპობრივად, შემდეგი მომდინარეობით:

1. მოსამზადებელი
2. საველე-არქეოლოგიური
3. საკონსერვაციო-სარეკულტივაციო
4. ანგარიშის მომზადება

4. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ რუისის ჩრდილოეთით აღმართულ სერზე, ადგილობრივ ტოპონიმიკაში ცნობილ ე.წ. „მალხაზის წვერზე“[1] (სურ.1; სურ.1.1). აღნიშნული ბორცვი წარმოადგენს რუისის ქედის ყველაზე მაღალ ადგილს (ზღვის დონიდან დაახლ. 845 მ), რომელსაც შიდა ქართლის ვაკეზე დომინანტური მდგომარეობა უკავია გადაჰყურებს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო ზოლს.

მალხაზის წვერზე განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების მიზანი იყო შემთხვევით გამოვლენილი და აქამდე უცნობი ძეგლის ხასიათისა და ქრონოლოგიის დადგენა, აგრეთვე მისი მნიშვნელობის განსაზღვრა და დაზიანების პრევენცია.

არქეოლოგიური სამუშაოები მოიცავდა ერთ ძირითად და ორ სატესტო თხრილს. აღნიშნული თხრილები გაიჭრა ე.წ. „მალხაზის წვერზე“, T01 ტურბინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სამშენებლო მოედნის მიღმა. ამ მონაკვეთზე, სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (თავი 1. არქეოლოგიური გათხრების წინაპირობა, ლოკაცია 2), დასაწყობებული იყო ამავე ტერიტორიის მომზადებისას მოხსნილი ჰუმუსი. დასაწყობებული ნაყარი მიწის (ჰუმუსის) გადაადგილებისას ამ ადგილზე მოიხსნა იქ არსებული ჰუმუსის ფენაც. სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც ადასტურებდა, რომ აღნიშნული მონაკვეთი არქეოლოგიურ ფენებს შეიცავდა. აღმოჩენისთანავე ლოკაციაზე შეწყდა ყოველგვარი მძიმე ტექნიკის გადაადგილება და ტერიტორია სპეციალური ფერადი ლენტით შემოიღობა. ზედაპირული არქეოლოგიური მასალის (ანტიკური და

[1] მალხაზის წვრი იხსენიება 1894 წელს გამოცემულ გაზეთ „ივერიაში“ (გაზეთი „ივერია“ №18, სამშაბათი, 25 იანვარი, 1894 წ.); მალხაზის წვერი მონიშნულია ასევე 1958 წელს შედგენილ სამხედრო რუკაზე. აღნიშნული ლოკაცია ამავე სახელწოდებით იხსენიება შემდგომში საბჭოთა პერიოდშიც. ის გამოყენებულია საირიგაციო სისტემების მოსაწყობად (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ხუთშაბათი, 1 ივნისი 1979 წ.), რომლის დროსაც უნდა მომხდარიყო შემაღლების ზედა ნაწილის მოსწორება და სავარაუდოდ კულტურული ფენების დაზიანება.

გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები) აკრეფის პროცესში, ჰუმუსის თხელი ფენისგან მოშიშვლებულ მცირე მონაკვეთზე, გამოვლინდა ქვიშაქვისგან ნაგები კედლის ფრაგმენტი. ხსენებული კედლის ადგილზე და მის სამხრეთით გაიხსნა №1 ძირითადი თხრილი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით — ორი საცდელი (სატესტო) თხრილი (სურ. 2).

თხრილი 1

GPS კოორდინატები (UTM):

1. N 4656098.00 / E 416385.00
2. N 4656098.00 / E 416375.00
3. N 4656088.00 / E 416375.00
4. N 4656088.00 / E 416385.00

თხრილი 1 (ზომა: 10X10 მეტრზე) მოინიშნა კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგისას გამოვლენილი ფრაგმენტული კედლის ადგილზე და მის სამხრეთით. თხრილს შუაზე კვეთს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დამხრობილი საბჭოთა პერიოდის სარწყავი წყლის საქაჩი მილსადენისთვის განკუთვნილი თხრილი.

პირველ ეტაპზე სამუშაოები განხორციელდა თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში. გაიწმინდა კედლის უკვე გამოვლენილი მონაკვეთი და მოხდა მისი ხელახალი ფოტოფიქსაცია. კედლის თავზე და მის ჩრდილოეთით ჰუმუსი უკვე მოხსნილი იყო. შესაბამისად, დაღრმავება დავიწყეთ სამხრეთის მიმართულებით დაფერდებისკენ. თხრილის მთელ მონაკვეთზე მოიხსნა ჰუმუსი, რომელშიც გამოვლინდა შერეული არქეოლოგიური მასალა - გვიანი ბრინჯაოს ხანისა და ანტიკური ხანის კერამიკა (სურ. 22: 1-14)

ჰუმუსის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი სურათი, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ სურ. 3-ზე. 843.88 – 844.00 დონეზე გამოვლინდა 9.10 მ სიგრძის, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დამხრობილი კედელი №1 (სურ. 4).

აქვე, 843.90 დონეზე გამოიკვეთა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკან დამხრობილი კედელი №2 (სურ. 5), რომელიც სავარაუდოდ აღმოსავლეთიდან-დასავლეთისკენ დამხრობილ კედელს უერთდებოდა და თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწლიში ქმნიდა ნაგებობის კუთხეს.

კედელი №1 (MT26-01-07)

შემორჩენილი სიგრძე - 9.10 მ

შემორჩენილი სიმაღლე - 0.20 მ

მაქსიმალური სიგანე - 1.20 მ

მინიმალური სიგანე - 0,70 მ

კედელი აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით არის დამხრობილი. იგი ნაგებია ქვიშაქვის ფილებით, რომელთათვისაც შერჩეულია სწორი საფასადე მხარეები. ფილები სხვადასხვა ზომისაა და წყობაში ორ მწკრივად არის განლაგებული. მწკრივებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია წვრილი, ე.წ. ხურდა ქვით. კედელი აგებულია მშრალი წყობის ტექნიკით. ფილების სისქე 10-დან 20 სმ-მდე მერყეობს.

კედელი აღმოსავლეთ ნაწილში უფრო სქელია. დაახლოებით 1.5 მ სიგრძის მონაკვეთზე, შესქელების მიზნით, გარედან დამატებულია ქვიშაქვის ფილების მესამე მწკრივი. აღნიშნული კედელი უშუალოდ დედაქანზე, გრუნტის ფენაზეა გამართული და წარმოადგენს ქვედა წყობას, ანუ ფუნდამენტს, რომელიც მიწაში იყო ჩადგმული.

კედელი №2 (MT26-01-08)

შემორჩენილი სიგრძე - 2.70 მ

შემორჩენილი სიმაღლე - 0.22 მ

სიგანე - 1.15 მ

კედელი დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მმართულებით. ის აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დამხრობილ

კედელს უერთდება თხრილი 1-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მიერთების ადგილი მორღვეული და დაზიანებულია.

კედელი ნაგებია ქვიშაქვის სოწორკუთხა ფილებით. ფასადის მხარეს შერჩეულია სწორი, ჩამოთლილი მხარეები. ფილები სხვადასხვა ზომისაა და წყობაში სამ მწკრივად არის განლაგებული. კედელი აგებულია მშრალი წყობის ტექნიკით. ფილების სიგრძე 65-დან 80 სმ-მდე მერყეობს. აღნიშნული კედელი მსგავსად კედელი №1-სა გრუნტის ფენაზეა გამართული.

საინტერესოა გამოვლენილი კედლების ორივე მხარეს დაფიქსირებული ყავისფერი ნიადაგი (სურ. 4), რომელიც კირქვის ანამტვრევებსა და მცირე ჩანართებს შეიცავს. აღნიშნული ფენა დევს გრონტოვან ქანზე და იქმნება შთაბეჭდილება, რომ საგანგებოდაა დატკეპნილი კედლების ფუნდამენტის ორივე მხარეს.

განსხვავებული სურათია თხრილი 1-ის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში, სადაც კირქვის ჩანართებიანი ფენა არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულ მონაკვეთზე უძრავ ფენას ფარავს თხელი 2-დან 3 სმ-მდე სისქის მოყვითალო ფერის თიხნარი ფენა, რომელსაც ადევს შავი ფერის ფხვიერი წვრილმარცვლოვანი მიწის ფენა (MT26-01-04; MT26-01-05; MT26-01-14). აღნიშნული ფენა შეიცავს გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალას (სურ. 23, 24, 25, 26).

გამოვლენილი არქეოლოგიური მასალიდან საინტერესოა MT26-01-05 კონტექსტში აღმოჩენილი დაბალყელიანი ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტები, რომელთა მხარი შემკულია ირგვლივი, კონცენტრული ღარებით. კონცენტრულ ღარებს მოსდევს ნაჭდევი წერტილოვანი ორნამენტით გამოყვანილი სამკუთხედების სარტყელი, ხოლო მის ქვეშ განივად გასდევს კიდევ ერთი ირგვლივი ღარი (კეცი რუხია, ზედაპირი — შავი). აქვე ფიქსირდება მაღალყელიანი, ქვემოთ გაფართოებული ქოთნის პირ-ყელის, მხრის, კორპუსისა და ბრტყელი, სადა ძირის ფრაგმენტები. მისი ყელი შემკულია ნაპრიალები შვეული ზოლებით, ხოლო მხარი — ირგვლივ ღარებს შორის მოთავსებული ჭდეული

სამკუთხედების ორნამენტით (კეცი რუხია, ზედაპირი — შავად ნაპრიალები) (სურ. 24, 25, 26).

აღსანიშნავია ასევე MT26-01-14 კონტექსტი, რომელშიც დაფიქსირდა სადაზედაპირიანი, ოდნავ პირგადაშლილი ლანგრის ფრაგმენტები. აღსანიშნავია ქოთნის პირ-ყელისა და მხრის ნაწილები, რომელთა მხარიც შემკულია ირგვლივი ღარებით, ირიბი ნაჭდევებით, ტალღოვანი ორნამენტითა და ირიბნაჭდევებიანი ქედებით. აქვე წარმოდგენილია ჭურჭლის მხრის ფრაგმენტები — შემკული წერტილოვანი ხაზებით დატანილი სამკუთხედებითა და ირგვლივი ღარებით; დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი, რომლის ყელსაც ირგვლივი ღარები შემოუყვება, და ბრტყელი ძირ-კედლის ნატეხები, რომლებიც გარშემოუვლებულია ირიბი ნაჭდევებით (სურ. 28: 1-14).

რთულია აღნიშნული ფენის რაიმე ნაგებობის სტრუქტურასთან დაკავშირება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, თხრილის №1 შუაზე კვეთს 1 მეტრამდე სიგანის, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დამხრობილი სარწყავი წყლის საქაჩი მილსადენისთვის განკუთვნილი თხრილი. აღნიშნულ ჩაჭრას დაზიანებული აქვს როგორც გვიანი ბრინჯაოს, ისე ანტიკური ხანის კულტურული ფენები.

თხრილის №1 -ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში რაიმე სახის ნაგებობის სტრუქტურის ნაშთები არ დაფიქსირებულა. მთელ მონაკვეთზე დედაქანამდე გამოვლინდა შერეული, ფრაგმენტული არქეოლოგიური მასალა. აღნიშნულ მონაკვეთზე MT26-01-09 კონტექსტში გამოვლენილი ანტიკური ხანის მასალიდან აღსანიშნავია თონის პირის კიდის ფრაგმენტი; თიხის ჭურჭლის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი, რომლის მხარს ტალღოვანი ორნამენტი შემოუყვება; ჭურჭლის ყელის ფრაგმენტი, რომელსაც გარს ირგვლივი წიბო გასდევს; დოქის მრგვალგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტი; ძირ-კედლის ფრაგმენტები ბრტყელი ძირით; ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი მოხატული წითელი საღებავის ზოლებით (სურ. 27: 1-7, 10-11). გვიანი

ბრინჯაოს ხანის მასალიდან საინტერესო აღმოჩნდა MT26-01-12 კონტექსტში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ზოომორფულდანაძერწიანი ყური (სურ. 27: 14).

თხრილი №1-ის სამხრეთ ნაწილში 843.57 დონეზე გამოვლინდა საინტერესო სტრატიგრაფიული დონე (MT26-01-11) (სურ. 6). მოსწორებულ, მოყავისფრო-მონაცრისფრო ნიადაგზე მოყრილია კენჭები, ხშირ შემთხვევაში, ორ ან სამ ფენად. ხოლო კენჭებზე დევს დიდი და საშუალო ზომის რიყის ქვები (სურ. 7-8). ეს ფენა შეიცავს გვიანი ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის პერიოდის არქეოლოგიურ მასალას (სურ. 27: 4-9). ანტიკური ხანის მასალიდან აღსანიშნავია სქელკეციანი (2.5 სმ) ქვევრის კედლის ფრაგმენტი. აღნიშნული ფენა გაუყვება თხრილის მთელს სამხრეთ პროფილს და ნაწილობრივ გადადის ქვიშაქვიან ფენაზე, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

საინტერესო აღმოჩნდა თხრილი №1-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, სადაც ჰუმუსის მოხსნის შემდეგ 843. 70 დონეზე გამოიკვეთა ნაშალი ქვიშაქვების ფენა, სადაც შეინიშნებოდა მართკუთხა ფორმის ბრტყელი ქვებიც (სურ. 9-10). ქვიშაქვის ფენის გასუფთავებისა და დოკუმენტირების პროცესში დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ 30 სმ-მდე სისქის ფენა წარმოიშვა ამავე ქვებით შედგენილი ნაგებობის დანგრევის შედეგად. ქვიშაქვის მცირე ზომის ნამტვრევების აღების შემდეგ გამოჩდა ბრტყელი ქვები, რომლებიც, თითქოს, საგანგებოდაა დაწყობილი შავი ფერის ფხვიერ წვრილმარცვლოვან ნიადაგზე, რომელიც გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალას შეიცავს. აღნიშნული ფენა უნდა იყოს ჩვენს მიერ თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში დაფიქსირებული შავი ფერის ნიადაგის გაგრძელება. თუმცა, სიტუაციას ართულებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ფენებს შუაზე ჭრის სარწყავი წყლის საქაჩი მილსადენისთვის განკუთვნილი თხრილი.

მიუხედავად ფენების მრავალმხრივი დაზიანებისა, ჩვენი ვარაუდით, აქ წარმოდგენილია ქვიშაქვის ბრტყელი ქვებისგან შედგენილი იატაკი (სურ. 10), რომელიც გადადის გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენაზე. იატაკის დონეს ზევიდან ადევს მოყავისფრო-მონაცრისფრო ფერის ფხვიერი ნიადაგი, რომელიც ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის და

კრამიტის ფრაგმენტებს შეიცავს. იატაკის დონეზე (MT26-01-10) დაფიქსირებული ანტიკური ხანის მასალიდან აღსანიშნავია დოქის ყელისა და მხრის ფრაგმენტი, ყელზე ირგვლივი ღარით და ტალღოვანი ორნამენტით; ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი, შემკული ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, ბრტყელგანივკვეთიანი. დანარჩენი მასალა უსახურია.

ჩრდილოეთ ნაწილში დაფიქსირებული ორივე კედელი და თხრილის სამხრეთ-ათმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირებული ქვიშაქვიანი ფენა, ანუ იატაკი, დოკუმენტირების მერე ხელუხლებელი დავტოვეთ, ხოლო დანარჩენ მონაკვეთებზე ყველგან დედაქანამდე დავედით (სურ. 9). გათხრების დასასრულს სრულად გაიწმინდა საბჭოთა პერიოდში გაჭრილი სარწყავი წყლის საქაჩი მილსადენისთვის განკუთვნილი თხრილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნულმა თხრილმა მნიშვნელოვნად დააზიანა როგორც გვიანი ბრინჯაოს ხანის (სურ. 27, 20-27), ისე ანტიკური პერიოდის ფენები. სარწყავი თხრილის შევსებაში მრავლად იყო ორივე პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, აგრეთვე კრამიტის ნატეხები (სურ. 31: 8-10). შევსებაში ასევე ეყარა ქვიშაქვის ფილები და ნამტვრევები, რომელიც აქ არსებული კედლებისა და იატაკის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. არქეოლოგიურ მასალასთან ერთად დაფიქსირდა თანამედროვე ნაგვის ნარჩენებიც.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გასათხრელად მონიშნული ფართობი მრავალგზის არის დაზიანებული: გვიანი ბრინჯაოს ფენები დაზიანებული აქვს ანტიკურ ხანას. ხოლო შემდგომ პერიოდებში აღნიშნული ტერიტორია სხვადასხვა აქტივობების დროს პერიოდულად ზიანდებოდა. ბოლოს, საბჭოთა პერიოდში, ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებმა წყლის საქაჩი მილსადენებისთვის განკუთვნილმა თხრილებმა საბოლოოდ დააზიანა აქ წარმოდგენილი ორივე პერიოდის კულტურული ფენები. აღნიშნული ჩარევები და დაზიანებები კარგად ჩანს ექსპედიციის მიერ გაკეთებულ სტრატიგრაფიულ ჭრილებში (სურ. 18, 19, 20, 21).

საცდელი თხრილი - TT01

GPS კოორდინატები (UTM):

1. N 4656108.00 / E 416397.00
2. N 4656108.00 / E 416395.00
3. N 4656098.00 / E 416395.00
4. N 4656098.00 / E 416397.00

საცდელი თხრილი TT01 (ზომები: 2×10 მ) გაიჭრა თხრილი №1-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 10 × 10 მ-იანი კვადრატული ბადის დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო–სამხრეთის ღერძზე (სურ. 2).

საცდელ თხრილებს TT01 და TT02-ს შორის დავტოვეთ 1 მეტრის სიგანის უღელი. შესაბამისად, TT01 თხრილში დაღრმავაბა დავიწყეთ 2 × 9 მეტრ ფართობზე. გათხრების ბოლოს, კვადრატის ყველა პროფილის დოკუმენტირების შემდეგ ავიღეთ საცდელ თხრილებს შორის დატოვებული ზემოთნახსენები 1 მეტრის სისქის უღელიც.

პირველ ეტაპზე, აღნიშნული თხრილის ზედა ნაწილზე მოიხსნა ბალახოვანი საფარი, რის შემდეგაც მთელს მონიშნულ მონაკვეთზე ავიღეთ 30 სმ-მდე სისქის მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ნაყარი ფენა. მონიშნულ საცდელ თხრილშიც ჰუმუსი მთლიანად მოხსნილი იყო. ზედაპირზე დაყრილი იყო, სავარაუდოდ, არქეოლოგიური ზონიდან დასავლეთ ნაწილში მოთხრილი მიწა.

ზედა დონეზე ნაყარი ფენის მოხსნისა და დოკუმენტირების შემდეგ, პირველ გეგმაზე (სურ. 11-12) გამოჩნდა უძრავად შენარჩუნებული კულტურული ფენა, რომელზეც ალაგ-ალაგ შერჩა მოყვითალო ფერის ნაყარი ფენის კვალი.

საცდელი თხრილი TT01-ის სამხრთ ნაწილში ნაყარი და დაზიანებული ფენა 3,5 მეტრ სიგანეზე 50 -სმ სიღრმეზე ჩადიოდა. კვადრატის დანარჩენ მონაკვეთზე გამოვლინდა მოშავო-მოყავისფრო ფერის კირქვის ჩანართებიანი 50-55 სმ სისქის კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა გვიანი ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის

არქეოლოგიურ მასალას (სურ. 13). აღნიშნული ფენის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, MT26-TT1-06 კონტექსტში დაფიქსირდა ძვლისგან დამზადებული მძივი (სურ. 33: 17), ბრინჯაოსგან დამზადებული საკინძი (სურ. 33: 2).

აღნიშნული კონტექსტი (MT26-TT1-06) გამოირჩევა თიხის ჭურჭლის მრავალფეროვანი ფორმებით. აქ წარმოდგენილია ჭურჭლის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტი, რომლის მხარი შემკულია ნაჭდევი ხაზებით გამოყვანილი სამკუთხედებით, ხოლო კორპუსის მაქსიმალურ დიამეტრზე გასდევს ორი ირგვლივი ღარი. ნიმუშის პირის კიდეზე და კორპუსის მაქსიმალური დიამეტრის ნაწილზე მიძერწილია ზოომორფული, სამი ქედით გამოყვანილი ყური. იდენტიფიცირებულია ბიკონუსურკორპუსიანი ლარნაკისებური ჭურჭლის პირ-ყელისა და კორპუსის ფრაგმენტი გარეთ გადმოხრილი პირითა და მაღალი, ქვემოთ გაფართოებული ყელით. ფრაგმენტის ყელი შემკულია ნაპრიალები ზოლებით, ხოლო მხარი — ირგვლივი ღარებით. ანალოგიური პროფილისაა სხვა ჭურჭლის პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტიც, რომლის მხარი მხოლოდ ირგვლივი ღარებითაა ორნამენტირებული. ქვედა ნაწილებიდან ფიქსირდება წაწვეტებული ძირ-კედლის ფრაგმენტი, ასევე ბრტყელი, გამოყვანილი ძირ-კედლის ნატეხი, რომლის ძირის კიდეც ირგვლივი ჭდეებითაა შემკული. კედლის სხვა ფრაგმენტების ზედაპირი დაფარულია ირგვლივი, წვრილი, ერთმანეთზე მიჯრილი ღარებითა და შვეული, დახრილი ხაზებით (სურ. 29: 1-13).

საცდელი თხრილი TT01-ის ცენტრალურ ნაწილში, დედაქანამდე დასვლისა და პროფილების დოკუმენტირების შემდეგ ავიღეთ საცდელ თხრილებს შორის დატოვებული უღელი, რადგანაც ჩვენს მიერ თავიდან მონიშნულ 2 x 10 მ ფართობის მთლიან მონაკვეთზე გაგვეკეთებინა ბოლო, მესამე და მეოთხე გეგმები (სურ. 14). უღელის ზედა დონეზე მოიხსნა ნაყარი ფენა, რომლის ქვემოთ, აღმოსავლეთ პროფილთან (ჭრილთან) 443.65 დონეზე გამოჩნდა ქვიშაქვის 2 ბრტყელი ფილა. ფილები გადის თხრილის პროფილების მიღმა, რის გამოც რაიმე სახის ნაგები

სტრუქტურა ვერ დავაფიქსირეთ. აქ კარგად ჩანს, რომ ფილები გადადის მოშავო-ფერის კულტურულ ფენაზე (MT26-TT01-12), რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით დამწვარი და დაფშვნილი ძვლების ფრაგმენტებს.

ზემოთაღნიშნულ ფენაში (MT26-TT01-12) წარმოდგენილია გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 30: 5). მათგან აღსანიშნავია ჯამის პირ-კალთის ფრაგმენტი, რომლის პირის კიდე შიგნითაა გადახრილი და აქვს კალთაგამობერილი პროფილი; ასევე რუხკეციანი შავადნაპრიალები ჭურჭელი და ლარნაკისებრი ჭურჭლის ფრაგმენტი. კონტექსტში, გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკულ მასალასთან ერთად, გამოვლინდა ბრინჯაოს არტეფაქტების ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვანი კომპლექსი: ღეროს ფრაგმენტი (სურ. 33: 3), ნახევარსფერული მოსართავი (სურ. 33: 4), სხვადასხვა ზომის ნახევარსფერული ღილები (ლუსტრ. 32: 5-7), ორ-ორი რგოლისგან აკინძული ძეწკვი (სურ. 33: 8), ბიკონუსური საკიდი (სურ. 33: 9) და გვერდებზე გამჭოლი ნახვრეტების მქონე მძივ-საკინძი (ილუსტრ. 33: 10).

საცდელ თხრილ TT01-ში დაფიქსირებული დაფშვნილი და ცეცხლში მოხვედრილი ძვლების მოშავო ფერის ფენა, ჩვენი მოსაზრებით, მიეკუთვნება გვიან ბრინჯაოს ხანას. სამწუხაროდ, გათხრების არეალში მოექცა მისი მხოლოდ მცირე ნაწილი. მიუხედავად ამისა, ექსპედიციისას გამოვლენილი ბრინჯაოს ნივთების დიდი ნაწილი სწორედ ამ ფენიდან მომდინარეობს.

საცდელ თხრილ TT01-ში ბოლო, მესამე გეგმის დოკუმენტირებისას კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გამოიკვეთა დაფშვნილი და ცეცხლში მოხვედრილი ძვლების შავი ფერის ფენა, რომელიც იდენტურია კვადრატის სამხრეთ ნაწილში გამოვლენილი ფენისა. აღნიშნულ ფენასაც ზედა დონეზე ადევს ქვიშაქვის ერთი, შუაზე გატეხილი ფილა. აქაც თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გვიან ბრინჯაოს ხანით არის წარმოდგენილი.

ოთხივე პროფილისა და ბოლო, მესამე გეგმის დოკუმენტირების შემდეგ საცდელ თხრილში TT01 დავასრულეთ სამუშაოები, ხოლო თხრილის სამხრეთ და ჩრდილოეთ

ნაწილებში დაფიქსირებული გვიანბრინჯაოს ხანის თხელი ფენები დაკონსერვდა შემდგომი გათხრებისთვის. აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ აღნიშნული საცდელი თხრილის გაფართოება და შესწავლა უდაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს ძეგლის სტრატიგრაფიაზე.

საცდელი თხრილი - TT02

GPS კოორდინატები (UTM):

1. N 4656098.00 / E 416397.00
2. N 4656098.00 / E 416395.00
3. N 4656093.00 / E 416395.00
4. N 4656093.00 / E 416397.00

საცდელი თხრილი TT02 (ზომები: 2 X 5 მ) გაიხსნა თხრილი №1-ის აღმოსავლეთით (10×10 მ-ზე კვადრატის გამოტოვებით), 10 × 10 მ-ზე კვადრატული ბადის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო–სამხრეთის ღერძზე (სურ. 2).

საცდელ თხრილებს - TT02 და TT01-ს ერთმანეთისგან ყოფს 1 მ სიგანის უღელი. პირველ ეტაპზე თხრილის ზედა ნაწილზე მოვხსენით ბალახოვანი საფარი. მსგავსად საცდელი თხრილი TT01-სა ზედა დონეზე მოიხსნა მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ნაყარი ფენა. ნაყარი ფენის ქვეშ, 844.32 – 844.00 დონეზე გამოჩნდა უძრავი *(in situ)* არქეოლოგიური ფენები (სურ. 16).

აღნიშნულ თხრილში არქეოლოგიური ფენების გამოვლენის შემდეგ (გეგმა 2) მოვახდინეთ მისი დეტალური ფიქსაცია და გავაჩერეთ სამუშაოები, ვინაიდან მის სტრატიგრაფიაზე უკვე გვქონდა წარმოდგენა პარალელური თხრილიდან (სურ. 17).

საცდელი თხრილიდან მივიღეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ანტიკური ხანის ფენების სტრატიგრაფიასთან დაკავშირებით. თუმცა, ქვედა დონეზე არსებული დარღვეული და დაზიანებული გვიანი ბრინჯაოს ხანის სტრატიგრაფიასთან დაკავშირებით ასეთი მცირე ზომის თხრილის შესწავლით რთული იქნებოდა რაიმე სახის

შედეგის მიღწევა. აქედან გამომდინარე, სამომავლოდ გათხრების გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელია უფრო სრულყოფილი შედეგის მიღება.

საცდელი თხრილი TT02-ის სამხრეთ ნაწილში, თხრილი 1-ის სამხრეთ ნაწილის მსგავსად, დაფიქსირდა მოყავისფრო-მონაცრისფრო ნიადაგზე დაყრილი კენჭები, ხშირ შემთხვევაში 2 ან 3 ფენად, კენჭებზე კი დევს დიდი და საშუალო ზომის რიყის ქვები. აღნიშნული ფენა შეიცავს გვიანი ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალას (სურ. 30: 6-8). კენჭებიანი ფენა გადადის ქვიშაქვიან ფენაზე, ბრტყელ ფილებზე. კენჭები ასევე გვხვდება ფილებს შორისაც. აღნიშნული ფენის დაფიქსირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ თხრილში და საცდელ თხრილში გამოვლინდა იდენტური სამშენებლო დონე, რაც ამ ეტაპზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ძეგლის სტრატიგრაფიაზე, ხოლო შემდგომში დაგვეხმარება უკეთესად გავერკვეთ ძეგლის ხასიათში.

საცდელი თხრილი TT02-ის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წარმოდგენილია ქვიშაქვის ბრტყელი ფილები, რომელიც დევს მოყვითალო-მოწითალო ფერის თიხნარ ნიადაგზე. აღნიშნული მოყვითალო ფერის თიხნარი ვრცელდება თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც თიხნარ ფენაზე დევს სხვადასხვა ფორმის რიყის ქვები. რიყის ქვებს შორის და თიხნარ ფენაში მრავლადაა ღარისებრი და ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები (სურ. 32: 11), ასევე ანტიკური პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამავე ფენაში კრამიტებთან და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად გამოვლინდა ძალზედ საიტერესო არქიტექტურული დეტალი (სურ. 30: 9). არქიტექტურული დეტალის ზუსტი რაობის განსაზღვრა რთულია მისი ფრაგმენტულობიდან გამომდინარე. თუმცა, შემორჩენილი ფრაგმენტით ცხადია, რომ საქმე გვაქვს, სავარაუდოდ, კვადრატული მოყვანილობის დეტალთან, რომლის ნახევარი მხარე ჩამოტეხილია. შემორჩენილია მხოლოდ ერთი კუთხისა და ორი გვერდის ნაწილი. ზედაპირზე ორი ღარი დაუყვება, რაც ქმნის სამი რელიეფურ ხაზს. დეტალის ერთი მხარე შესქელებულია და კორპუსიდან გამოწეული, რაც ქმნის

შთაბეჭდილებას რომ ეს უნდა იყოს ქვედა ნაწილი. ზედა ნაწილი ოდნავ უფრო ვიწროა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მხარეს მოგრძო ნაწილია ჩამოტეხილი. ნივთი ერთი შეხედვით მოგვაგონებს ანტიკურ ხანაში გავრცელებულ პორტატულ, მინიატურულ საკურთხევლებს (ცეცხლის?). აღნიშნული ნივთის კვლევა მიმდინარეობის ეტაპზეა.

საცდელი თხრილი TT02-ის ჩრდილოეთ ნაწილში დაფიქსირებული მოყვითალო-მოწითალო ფერის თიხნარი მიმდებარე ტერიტორიისთვის უჩვეულოა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს თიხა სამშენებლოდაა გამოყენებული. თუმცა, ამ ეტაპზე კონკრეტული დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, ვინაიდან რაიმე სახის სტრუქტურის კვალი არ ფიქსირდება. სტრატიგრაფიული კუთხით საინტერესოა ის ფაქტი, რომ საცდელი თხრილი TT01-ის სამხრეთ პროფილში კარგად ჩანს, ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები მოყვითალო-მოწითალო ფერის თიხნარი ფენა, რომელიც ზემოდან გადადის მოშავო, ძვლის ნამტვრევების შემცველ გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენაზე.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე საცდელი თხრილისგან მივიღეთ ძეგლის სტრატიგრაფიასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია. აქ კარგად გამოჩნდა ახალი არქეოლოგიური ობიექტის პოტენციალი, რაც არქეოლოგიური ფენების სიმძლავრესა და არტეფაქტების მრავალფეროვნებაში გამოიხატება.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილ „მალხაზის წვერზე“ ჩვენ მიერ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები სრულად პასუხობს სააგენტოს ტექნიკურ დავალებას, რომელიც გულისხმობდა არქეოლოგიური ძეგლის ხასიათისა და ქრონოლოგიის დადგენასა და აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთების (ქვის კედელი) დაზიანებისგან პრევენციას. კვლევის შედეგების საფუძველზე, ასევე ძეგლის მნიშვნელობიდან და მაღალი სამეცნიერო პოტენციალიდან გამომდინარე, „მალხაზის წვერზე“ მდებარე მრავალფენიანი არქეოლოგიურ ძეგლზე კომპლექსური სამეცნიერო კვლევების გაგრძელება მომავალში საიტერესო მეცნიერული დასკვნების მომტანი შეიძლება გახდეს.

5. ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა

მალხაზის წვერზე 2026 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა თიხის ჭურჭლის 3,343 ფრაგმენტი. მათგან 353 ფრაგმენტი ანტიკურ ხანას მიეკუთვნება, ხოლო 2,990 ფრაგმენტი — გვიანი ბრინჯაოს ხანას (ცხრ. 1). ასევე აღმოჩნდა კრამიტის 382 ფრაგმენტი (ცხრ. 2) და ნატკეცი ქვის მასალის 56 ერთეული (ცხრ. 3). მიმდინარე არქეოლოგიური სეზონზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ჯამურად მოპოვებულ იქნა ძვლის 553 ფრაგმენტი (ცხრ. 4).

გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალაში ბრინჯაოს არტეფაქტები 14 ერთეულს შეადგენს. მათ შორის ფიქსირდება საკინძები, ღეროსა და იარაღის ფრაგმენტები, მოსართავები და სამკაული (სურ. 33: 1-16). თიხის პლასტიკა და დანაძერწები წარმოდგენილია 9 ნიმუშით, რომელთაგან 6 რქისებრი შვერილია, ხოლო 3 — ზოომორფული ქანდაკების ფრაგმენტი (სურ. 33: 19-27). გარდა ამისა, კოლექციაში შედის 2 არტეფაქტიც — ძვლის მძივი (სურ. 33: 17) და სარდიონის მძივსაკიდი (სურ. 33: 18).

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ანტიკური ხანა)

ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების უმეტესობა წითლად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხის ჭურჭელს მიეკუთვნება. თუმცა, გვხვდება შავად გამომწვარი კერამიკაც. მიუხედავად იმისა, რომ ჭურჭლის ფრაგმენტების უმრავლესობა უსახო ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, ხერხდება მათი სახეობების გამოყოფა. ესენია: ქვევრები, დერგები და დოქები. ქვევრების და დერგების ფრაგმენტებში გვხვდება სადა და ნაჭდევებიანი ქედებით შემკული ცალები. დოქები წარმოდგენილია პირის და ყურის (მრგვალი და ოვალურგანივკვეთიანი) ფრაგმენტებით. ჭურჭლის კედლების ფრაგმენტები გვხვდება როგორც სადა, ისე ანგობირებული და წითელი საღებავით მოხატული.

კრამიტის ფრაგმენტები

სამივე უბანზე (თხრილი 1, საცდელი თხრილი TT01 და საცდელი თხრილი TT02) ჯამურად დაფიქსირდა კრამიტის 382 ფრაგმენტი, რომელთა საერთო წონა 29,910 გრამს შეადგენს (ცხრ. 2). ტიპოლოგიური თვალსაზრისით, მასალა დახარისხებულია ბრტყელ და ღარისებრ კრამიტებად: სულ აღირიცხა ბრტყელი კრამიტის 57 ერთეული, ხოლო ძირითადი, 325 ფრაგმენტი — ღარისებრ კრამიტს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ მოპოვებული კრამიტების დიდი ნაწილის ზედაპირზე მკაფიოდ შემოინახა წითელი საღებავის კვალი, რაც მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ და კულტურულ მახასიათებელს წარმოადგენს. ღარისებრი კრამიტის ორ ფრაგმენტზე გვხვდება ხელოსანთა ნიშნები (სურ. 31-32).

ანტიკური ხანის მასალა ასევე წარმოდგენილია სარდიონის მძივსაკიდით (სურ. 33: 17) და ქვის არქიტექტურული დეტალით (სავარაუდოდ კაპიტელის ფრაგმენტი, ან მინიატურული საკურთხევლის ბაზა) (სურ. 30: 9).

გვიანბრინჯაოს პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები

მოპოვებული გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები შავად არის გამომწვარი და როგორც გვიან ბრინჯაოს ნამოსახლარებს ახასიათებთ ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქოთნებსა და ჯამებს ახასიათებთ ჩაღარული დაჭდეული ორნამენტი, რომელიც წრიულად შემოუყვება ძირზე, ასევე გვიან ბრინჯაოს ადრეული ეპოქისთვის დამახასიათებელი სოლისებრი ორნამენტი, ტანზე შემოყოლებული წრიული ორნამენტი და ნაჭდევი წერტილებით შექმნილი სამკუთხა ორნამენტები. კერამიკული მასალა თხელკეციანია, შერეული მცირე ზომის მინერალებით, ხოლო ზედაპირი უმრავლეს შემთხვევაში მოპრიალებული. ასევე გვხვდება ზოომორფული, რქისებრი დანაძერწები.

ბრინჯაოს არტეფაქტები

- MT26-01-01 — საკინძი ბრინჯაოსი, სწორთავიანი, თავიდან წვეროს მიმართულებით თანდათანობით დავიწროებული. თავის ძირთან დატანილი აქვს მრგვალი ნახვრეტი; თავი შემკულია ირიბი, ამოკაწრული „თევზისფხური“ მოტივით, ხოლო ნახვრეტის ქვემოთ არტეფაქტს გარშემოუყვება ორი ნაკაწრი ღარი (სურ. 33: 1).
- MT26-TT01-06 — საკინძი ბრინჯაოსი, კონუსურთავიანი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. ყელის ძირთან ღერო გაბრტყელებულია და დატანილი აქვს ნახვრეტი (სურ. 33: 2).
- MT26-TT01-12 — ღეროს ფრაგმენტი ბრინჯაოსი, ოთხკუთხა განივკვეთიანი, წვეროს მიმართულებით თანდათანობით დავიწროებული (სურ. 33: 3).
- MT26-TT01-12 — მოსართავი (ღილი?), ბრინჯაოსი, ნახევარსფერული ფორმის. გარეთა ზედაპირი შემკულია ირგვლივი ღარით, ხოლო შიგნითა მხარეს დატანილი აქვს ფირფიტისგან მომრგვალებულად გამოყვანილი ყუნწი (სურ. 33:4).
- MT26-TT01-12 — ღილები (კილიტი), ბრინჯაოსი, 3 ცალი, სხვადასხვა ზომის, ნახევარსფერული ფორმის. შიგნითა მხარეს დატანილი აქვს ფირფიტისგან განივად გამოყვანილი ყუნწი (სურ. 33: 5-7).
- MT26-TT01-12 — ძეწკვი ბრინჯაოსი, ერთმანეთზე მიმაგრებული, მრგვალგანივკვეთიანი ორ-ორი რგოლისგან აკინძული; ნაკლული (სურ. 33: 8).
- MT26-TT01-12 — საკიდი ბრინჯაოსი, ყუნწიანი, ბიკონუსური ფორმის (სურ. 33: 9).
- MT26-TT01-12 — მძივსაკინძი ბრინჯაოსი, მგვალი, ბრტყელი; გვერდებზე დატანილი აქვს გამჭოლი ნახვრეტები; დაზიანებული (სურ. 33:10).

თხრილი 1, ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი (ზედაპირული მასალა)

- მძივი ბრინჯაოსი — ერთ მხარეს დაბრტყელებული, ოვალური ფორმის, ფართონახვრეტიანი, ღრუიანი (სურ. 33: 11).

- გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ფრაგმენტი — ბრინჯაოსი, ერთი მხარე ბრტყელი, მეორე — რკალისებურად ამოზნექილი (სურ. 33: 12).
- სამეურნეო იარაღის (სეგმენტის ან თოხის) ტანის ფრაგმენტი — ბრინჯაოსი (სურ. 33: 13).
- გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ფრაგმენტები — ბრინჯაოსი, 3 ცალი, ერთი მხარე ბრტყელი, მეორე — რკალისებურად ამოზნექილი (სურ. 33: 14-16).

ძვლისა და სარდიონისგან დამზადებული მძივები

- MT26-TT01-06 — მძივი ძვლის, სფერული ფორმის, მრგვალნახვრეტიანი (სურ. 33: 17).
- MT26-01-11 — მძივსაკიდი სარდიონის, ბიკონუსური ფორმის, მრგვალნახვრეტიანი, დაწახნაგებული (ანტიკური ხანის) (სურ. 33:18).

თიხის რქისებრი შვერილები

- MT26-01-11 — თიხის რქისებრი შვერილი (სურ. 33: 19).
- MT26-01-10 — თიხის რქისებრი შვერილი, 2 ცალი (სურ. 33: 20-21).
- MT26-01-12 — თიხის რქისებრი შვერილი, 2 ცალი (სურ. 33: 22-23).
- MT26-01-14 — თიხის რქისებრი შვერილი (ტაბ. 33: 24).

ზოომორფული ქანდაკებების ფრაგმენტები:

- MT26-01-12 — თიხის ზოომორფული ქანდაკების ფრაგმენტი, ფრინველისთავისებური ფორმის (სურ. 33: 25).
- MT26-01-14 — თიხის ზოომორფული ქანდაკების ფრაგმენტი, ფრინველისთავისებური ფორმის (სურ. 33: 26).

- MT26-TT01-01 — თიხის ზოომორფული ქანდაკების ფრაგმენტი, ფრინველისთავისებური ფორმის (სურ. 33: 27).

ნატკეცი ქვის მასალა (ობსიდიანი, კაჟი)

არქეოლოგიური გათხრების პროცესში გამოვლინდა ნატკეცი ქვის მასალის 56 ერთეული, რომელთა საერთო წონა 471 გრამს შეადგენს (ცხრ. 3). მასალა ძირითადად ობსიდიანით არის წარმოდგენილი, ხოლო კაჟი მხოლოდ რამდენიმე ნიმუშში ფიქსირდება (სურ. 34: 1-11).

ტიპოლოგიური თვალსაზრისით, კოლექციის უმეტეს ნაწილს უხეში ანატკეცები და ანამტვრევები წარმოადგენს. ცალკეულ ნიმუშებზე შეინიშნება მეორადი დამუშავების, კერძოდ რეტუშის კვალი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გრძივი ლამელისებური ანატკეცები, სავარაუდო ბურღი და ნუკლეუსის შესწორების შედეგად მიღებული ანატკეცი. მასალის უმეტესი ნაწილი გამოვლინდა თხრილ 1-ში, მაშინ როდესაც საცდელ თხრილებში ნატკეცი ქვის მასალა პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

ზოოარქეოლოგიური მასალა

არქეოლოგიური სეზონის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად ჯამურად მოპოვებულ იქნა ძვლის 553 ფრაგმენტი, საერთო წონით 6,495 გრამი (ცხრ. 4). ოსტეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია თხრილ 1-ში, 426 ერთეულითა და 4,920 გრამი საერთო წონით, სადაც განსაკუთრებული სიუხვით კონტექსტები MT26-01-05 (123 ცალი; 1,630 გ), MT26-01-12 (121 ცალი; 1,330 გ) და MT26-01-10 (103 ცალი; 1,030 გ) გამოირჩევა. მასშტაბით მეორე ადგილზეა საცდელი თხრილი TT01, სადაც აღირიცხა 117 ფრაგმენტი (1,540 გ), რომელთა ძირითადი წილი კონტექსტ MT26-TT01-06-ზე (72 ცალი; 1,100 გ) მოდის, ხოლო მომდევნო ფენებში კლების მკაფიო ტენდენცია შეინიშნება. რაც შეეხება საცდელ თხრილ TT02-ს, აქ ძვლის მხოლოდ 10

ფრაგმენტი (35 გ) დაფიქსირდა, რომლიც კონტექსტ MT26-TT02-02-ს მიეკუთვნება. მოპოვებული არქეოზოოლოგიური მასალა მნიშვნელოვან ბაზას ქმნის სამეურნეო ცხოვრებისა და რაციონის რეკონსტრუქციისთვის.

მოცემულ ეტაპზე პროექტის ფარგლებში ხორციელდება ოსტეოლოგიური მასალის ლაბორატორიული დამუშავება.

6. დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნა

მალხაზის წვერზე კომპანია ლეიერკოს მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ფარგლებში სრულად შესრულდა სააგენტოს ტექნიკური დავალება: დადგინდა ძეგლის ხასიათი და ქრონოლოგია და მოხდა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთების - ქვის კედლებისა და კუტლურული ფენების დაზიანებისგან პრევენცია. ამასთანავე განისაზღვრა ძეგლის გავრცელების დაახლოებითი მასშტაბები.

ძეგლის გავრცელება და საზღვრები: ძვენ მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი მონაკვეთის საფუძველზე, ძეგლი ვრცელდება ბორცვის აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ -დასვალეთ პერიმეტრზე. რაც შეეხება ბორცვის ჩრდილო და ჩრდ-დას ნაწილს, ამ მონაკვეთზე არსებული კულტურული ფენები საბჭოთა პერიოდის საწრყავი სისტემის სამშენებლო საქმიანობის, ასევე 2008 წლის ომის პერიოდში სამხედრო სანგრების გაჭრის სამუშაოების შედეგად, მთლიანადაა დაზინაებული. აქედან გამომდინარე რთულია იმის თქმა თუ რა პერიოდისა და ხასიათის კულტურული ფენებით იყო წარმოდგენილი არქეოლოგიური ძეგლი ბორცვის ამ მონაკვეთში.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს რომ ორივე საცდელი თხრილისგან მივიღეთ ძეგლის სტრატიგრაფიასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია. აქ კარგად გამოჩნდა ახალი არქეოლოგიური ობიექტის პოტენციალი, რაც არქეოლოგიური ფენების სიმძლავრესა და არტეფაქტების მრავალფეროვნებაში გამოიხატება.

ძეგლის ქრონოლოგია: ძეგლზე დაფიქსირდა ორი პერიოდის კულტურული ფენა: გვიანბრინჯაოს ხანა და ანტიკური ხანა (საჭიროებს საუკუნეების დაზუსტებას, რაც რადიოკარბონულ თარიღებსა და შემდგომი კვლევის შედეგებზეა დამოკიდებული).

ძეგლის ხასიათი: სავარაუდოდ, საქმე გვაქვს გორა-ნამოსახლართან, რომელიც მოიცავს სულ მცირე ორი პერიოდის სამშენებლო ფენებს: გვიანბრინჯაოსა და ანტიკურს.

სტრატიგრაფიული თვალსაზრისით, გამოიკვეთა რომ ძეგლზე არსებობს ორი პერიოდის ფენები. მასალაზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ დაფიქსირებული შავი ფერის ნიადაგის ფენა (შეიცავს დამწვარი ძვლის ფრაგმენტებს, ბრინჯაოს არტეფაქტებს და კერამიკას) მიეკუთვნება გვიანბრინჯაოს ხანას. ანტიკური ხანის ფენებში წარმოდგენილია კერამიკული მასალა (წითლად გამომწვარი და შავად გამომწვარი), არქიტექტურული ფრაგმენტი (ან პორტატული საკურთხევლის ფრაგმენტი), სარდიონის მძივი, წითლადშეღებილი კრამიტები (ღარისებრი და ბრტყელი. ზოგიერთი შემკულია ამოკაწრული ნიშნებით) და სხვა.

ქვიშაქვის ქვებით ნაგები კედელი დევს გრუნტის ფენაზე, ხოლო მის მიმდებარედ არსებული კულტურული ფენები ორივე პერიოდის არქეოლოგიური მასალის შემცველია. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში რთულია კედლის დაბეჯითებით მიკუთვნება რომელიმე სამშენებლო პერიოდისთვის. გამოვლენილი კედლების ორივე მხარეს წარმოდგენილია ფენა კირქვის ჩანართებით. ეს ფენა ძირითადად კონცენტრირებულია ქვიშაქვის კედლების ორივე მხარეს. აქ გვხვდება ასევე ნაშალი ქვიშაქვების შემცველი სტრატიგრაფიული დონე, რომელიც გადადის ჩვენ მიერ ნახსენებ შავი ფერის კულტურულ ფენაზე (ბრინჯაოს ხანა). როგორც

N1 თხრილში ასევე სატესტო თხრილ 2-ში TT-02 ფიქსირდება კენჭოვანი და რიყის ქვის ჩანართებიანი სამშენებლო დონე, რომელიც უშუალოდ ადევს ნაშალი ქვიშაქვების შემცველ ფენებს.

კარგად დათარიღებადი ბრინჯაოს ხანის შავი ფერის კულტურული ფენის თავზე და მის მიმდებარედ გათხრილი კუტლურული ფენები შეიცავს შერეულ არქეოლოგიურ მასალას, რის გამოც რთულია ცალკეულ კონტექსტთა ქრონოლოგიური ჩარჩოების ზუსტი განსაზღვრა. ჩვენ მიერ განხორციელდა ყველა ჭრილის დეტალური დოკუმენტირება, ჩახატვა, ფოტოფიქსაცია, რამაც საშუალება მოგვცა ამ ეტაპზე გარკვეული დასკვნები გაგვეკეთებინა. მოცემულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სამომავლო კვლევები გვიჩვენებს სრულ სურათს ძეგლის სტრატიგრაფიასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა ამ ძეგლის მაღალი სამეცნიერო პოტენციალი. გაირკვა ძეგლის სტრატიგრაფია (2 პერიოდი), სავარაუდო გავრცელება და ხასიათი.

ძეგლის მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობიდან გამომდინარე სასურველია აღნიშნულ ნამოსახლარზე სამეცნიერო კვლევების გაგრძელება, რაც სამუშაოების სხვა მასშტაბებსა და დაგეგმვას მოითხოვს. აქედან გამომდინარე ამ არეალზე არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება ცალკე პროექტის სახით მომავლის საქმედ მიგვაჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაგოშიძე, ი. 1974. „წარმართული ტაძარი დედოფლის *მინდორზე", ჟურნალი „ძეგლის მეგობარი", N35.* თბილისი. 70-78.

გამყრელიძე, გ., ბრაგვაძე ზ., მინდორაშვილი დ., კვაჭაძე მ. 2013. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.

გობეჯიშვილი, ნ., შავლაყაძე, ქ., გაგოშიძე, დ., გაგოშიძე, ი., ჭანიშვილი, თ. 2023. *დოღლაურის სამაროვანი, ძვ.წ. XV-VIII საუკუნეები, კატალოგი.* თბილისი.

ზაქარაია, პ. 1965. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბილისი.

კიკვიძე, ი. 1972. ხიზანაანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.

მენაბდე, ლ. 1961. ძველი ქართული მწერლობის კერები. 1. თბილისი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990. გვ. 363-366.

რამიშვილი, ა. 2013. *ნაცარგორა, ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. VI.* თბილისი, მწიგნობარი.

რამიშვილი, ა., 2004. *ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღველში, ხაშურის ექსპედიციის შრომები,* თბილისი.

ჩუბინაშვილი, გ. 1940. *რუისის ტაძრის ისტორიისთვის. ენიმკის მოამბე. V-VI.* თბილისი.

ჭილაშვილი, ლ.1964. *ნაქალაქარი ურბნისი.* თბილისი.

ჯავახიშვილი, ა. ღლონტი, ლ. 1962. *ურბნისი, I.* თბილისი.

ჯავახიშვილი, ქ. 1972. *ნაქალაქარ ურბნისის გლიპტიკური ძეგლები.* თბილისი.

დანართი 1 - არქეოლოგიური მასალის სტატისტიკური მონაცემები

ცხრილი 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები

თხრილი / კონტექსტი	**პირი**	**ყური**	**გვერდი**	**ძირი**	საერთო რაოდ.	წონა	პერიოდი
თხრილი 1							
MT26-01-01	1	-	13	1	15	170	ანტიკური ხანა
	6	2	108	-	116	1830	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-02	-	1	20	8	29	430	ანტიკური ხანა
	2	-	57	1	60	830	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-03	-	-	-	-	-	-	-
MT26-01-04	33	0	385	7	425	7680	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-05	71	0	709	21	801	14120	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-06	-	-	-	-	-	-	-
MT26-01-09	2	1	31	2	36	320	ანტიკური ხანა
	-	-	9	1	10	200	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-10	3	1	17	3	24	210	ანტიკური ხანა
	22	3	321	13	383	4840	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-11	6	7	43	9	65	730	ანტიკური ხანა
	2	1	82	1	86	600	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-12	4	2	26	3	35	310	ანტიკური ხანა
	15	1	83	1	100	1420	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-13	1	1	1	-	3	60	ანტიკური ხანა
	17	1	75	3	97	1890	გვიანი ბრინჯაო
MT26-01-14	16	1	128	7	152	3040	გვიანი ბრინჯაო
საცდელი თხრილი TT01							
MT26-TT01-01	-	-	9	0	9	10	ანტიკური ხანა
	-	1	8	-	9	200	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-02	-	2	13	5	20	210	ანტიკური ხანა
	8	-	53	2	63	730	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-03	-	-	2	2	4	100	ანტიკური ხანა
	4	1	20	1	24	190	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-04	1	1	3	-	5	190	ანტიკური ხანა
	-	-	5	1	6	120	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-05	-	-	-	-	-	-	-
MT26-TT01-06	-	1	14	1	16	160	ანტიკური ხანა
	40	2	308	15	365	4940	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-07	-	-	4	-	4	210	ანტიკური ხანა
	3	-	15	-	18	270	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-08	-	-	2	-	2	60	ანტიკური ხანა
	2		12		14	270	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-09	-	-	1	-	1	30	ანტიკური ხანა
	-	-	8	1	9	160	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-10	8	1	50	2	61	700	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-11	0	0	3	0	3	50	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT01-12	14	1	112	6	133	910	გვიანი ბრინჯაო

საცდელი თხრილი TT02							
MT26-TT02-01	-	3	9	1	13	180	ანტიკური ხანა
	1	-	1	-	2	40	გვიანი ბრინჯაო
MT26-TT02-02	1	4	110	18	63	550	ანტიკური ხანა
MT26-TT02-03	-	-	9	-	9	70	ანტიკური ხანა
	1	-	50	2	53	510	გვიანი ბრინჯაო
➢ *საერთო რაოდენობა და წონა*					3343	49540	

ცხრილი 2. კრამიტის ფრაგმენტები

თხრილი / კონტექსტი	რაოდ.	წონა	შენიშვნა
თხრილი 1			
MT26-01-01	11	450	ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები; რამდენიმე მათგანს ეტყობა წითელი საღებავის კვალი.
MT26-01-02	25	1500	კრამიტის ფრაგმენტები: 23 ღარისებრი, 2 ბრტყელი
MT26-01-03	0	-	-
MT26-01-04	0	-	-
MT26-01-05	0	-	-
MT26-01-06	0	-	-
MT26-01-09	12	620	კრამიტის ფრაგმენტები: 11 ღარისებრი (აქედან ერთი არის წითლად შეღებილი ღარისებრი კრამიტის ქიმი), 1 ბრტყელი.
MT26-01-10	2	110	ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები
MT26-01-11	11	1430	კრამიტის ფრაგმენტები: 10 ღარისებრი, 1 ბრტყელი
MT26-01-12	8	500	ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები; რამდენიმე მათგანს ეტყობა წითელი საღებავის კვალი.
MT26-01-13	11	200	ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები
MT26-01-14	-	-	
საცდელი თხრილი TT01			
MT26-TT01-01	72	5530	კრამიტის ფრაგმენტები: 54 ღარისებრი, 18 ბრტყელი რამდენიმე მათგანს ეტყობა წითელი საღებავის კვალი.
MT26-TT01-02	35	2960	კრამიტის ფრაგმენტები: 31 ღარისებრი, 4 ბრტყელი
MT26-TT01-03	36	2420	კრამიტის ფრაგმენტები: 30 ღარისებრი, 6 ბრტყელი
MT26-TT01-04	54	4240	კრამიტის ფრაგმენტები: 43 ღარისებრი, 5 ბრტყელი.
MT26-TT01-05	0	-	-
MT26-TT01-06	0	-	-
MT26-TT01-07	35	2070	კრამიტის ფრაგმენტები: 30 ღარისებრი, 5 ბრტყელი
MT26-TT01-08	2	50	ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები
MT26-TT01-09	0	-	-
MT26-TT01-10	0	-	-
MT26-TT01-11	0	-	-

MT26-TT01-12	0	-	-
საცდელი თხრილი TT02			
MT26-TT02-01	19	930	კრამიტის ფრაგმენტები: 17 ღარისებრი, 2 ბრტყელი
MT26-TT02-02	49	6900	კრამიტის ფრაგმენტები: 36 ღარისებრი, 13 ბრტყელი. ღარისებურის ერთ ფრაგმენტს აქვს შვერილი
MT26-TT02-03	0	-	-
➢ *საერთო რაოდენობა და წონა*	382	29910	

ცხრილი 3. ნატკეცი ქვის მასალა (ობსიდიანი, კაჟი)

თხრილი / კონტექსტი	რაოდ.	წონა	შენიშვნა
MT26 - თხრილი 1			
MT26-01-01	6	25	ერთი ნიმუში კაჟისაა, დანარჩენები - ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები. ობსიდიანის ერთი ნიმუში, შესაძლოა, ბურღი იყოს.
MT26-01-02	4	27	ობსიდიანი. ერთ ნიმუშს აღენიშნება რეტუშის კვალი, წაროადგენს ლამელისებურ ანატკეცს. დანარჩენი სამი უხეში ანამტვრევებია.
MT26-01-03	0	-	-
MT26-01-04	5	54	ობსიდიანის უხეში ანატკეც -ანამტვრევები. ერთ ნიმუშს ეტყობა მცირე რეტუშის კვალი.
MT26-01-05	14	166	უხეში ანატკეც-ანამტვრევები, რეტუშის გარეშე (ერთი - კაჟის, დანარჩენი - ობსიდიანის)
MT26-01-06	1	11	ობსიდიანის ანატკეცი, ცალ გვერდზე ეტყობა სალამელე ნეგატივები. შესაძლოა ნუკლეუსის შესწორების შედეგად არის მიღებული.
MT26-01-09	4	28	ერთი ობსიდიანია. ორი ნიმუში კაჟისაა, რომელთაგან ერთ-ერთი გრძივი, ლამელისებური ანატკეცია.
MT26-01-10	7	52	ანატკეც-ანამტვრევები, (2 - კაჟის, დანარჩენი - ობსიდიანის). ერთ ნიმუშს ეტყობა რეტუშის კვალი
MT26-01-11	2	14	ორივე ნიმუში ობსიდიანისაა და მათზე შეიმჩნევა მცირე რეტუშის კვალი.
MT26-01-12	4	26	ობსიდიანის ანატკეც - ანამტვრევები
MT26-01-13	0	-	-
MT26-01-14	8	50	ობსიდიანის ნიმუშები წარმოდგენილია უხეში ანატკეცებითა და ანამტვრევებით, რეტუშის გარეშე.
MT26 - საცდელი თხრილი TT01			
MT26-TT01-01	0	-	-
MT26-TT01-02	0	-	-
MT26-TT01-03	0	-	-
MT26-TT01-04	0	-	-

MT26-TT01-05	0	-	-
MT26-TT01-06	0	-	-
MT26-TT01-07	0	-	-
MT26-TT01-08	0		-
MT26-TT01-09	1	18	ობსიდიანის მასიური ანატკეცი, რეტუშის გარეშე
MT26-TT01-10	0	-	-
MT26-TT01-11	0	-	-
MT26-TT01-12	0	-	-
MT26 - საცდელი თხრილი TT02			
MT26-TT02-01	0	-	-
MT26-TT02-02	0	-	-
MT26-TT02-03	0	-	-
➢ *საერთო რაოდენობა და წონა*	56	4710	

ცხრილი 4. ზოოარქეოლოგიური მასალა

თხრილი / კონტექსტი	რაოდენობა	წონა
MT26 - თხრილი 1		
MT26-01-01	0	-
MT26-01-02	0	-
MT26-01-03	0	-
MT26-01-04	27	250
MT26-01-05	123	1630
MT26-01-06	0	-
MT26-01-10	103	1030
MT26-01-11	8	100
MT26-01-12	121	1330
MT26-01-13	0	-
MT26-01-14	44	580
MT26 - საცდელი თხრილი TT01		
MT26-TT01-01	0	-
MT26-TT01-02	0	-
MT26-TT01-03	0	-
MT26-TT01-04	0	-
MT26-TT01-05	0	-
MT26-TT01-06	72	1100
MT26-TT01-07	0	-
MT26-TT01-08	3	16
MT26-TT01-09	7	110
MT26-TT01-10	6	25
MT26-TT01-11	12	171
MT26-TT01-12	17	118

MT26 - საცდელი თხრილი TT02		
MT26-TT02-01	0	-
MT26-TT02-02	10	35
MT26-TT02-03	0	-
➢ *საერთო რაოდენობა და წონა*	553	6495

დანართი 2 - ფოტომასალა

სურ. 1. „მალხაზის წვერი“-ს არქეოლოგიური ძეგლის მდებარეობა რუკაზე



სურ. 1.1. „მალხაზის წვერი“ არქეოლოგიური ძეგლის მდებარეობა რუკაზე



სურ. 2. მალხაზის წვერი 2026. კვადრატთა ბადე და არქეოლოგიური თხრილები



სურ. 3. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გეგმა №1

სურ. 4. მალხაზის წვერი 2026. კედელი №1 (MT26-01-07) და კედელი №2 (MT26-01-08)

სურ. 5. მალხაზის წვერი 2026. კედელი №2 (MT26-01-08).



სურ. 6. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გეგმა №2

სურ. 7. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, სამხრეთ პროფილი

სურ. 8. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, სამხრეთ პროფილთან დაფიქსირებული კენჭოვან-რიყისქვიანი ფენა



სურ. 9. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გეგმა №3

სურ. 10. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გეგმა №3, ფრაგმენტულად შენარჩუნებული ქვის იატაკის ფენა

სურ. 11. მალხაზის წვერი 2026. თხრილი TT01, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

სურ. 12. მალხაზის წვერი 2026. თხრილი TT01, გეგმა №1

სურ. 13. მალხაზის წვერი 2026. თხრილი TT01, გეგმა №2

სურ. 14. მალხაზის წვერი 2026. თხრილი TT01, გეგმა №4

სურ. 16. მალხაზის წვერი 2026. თხრილი TT02, გეგმა №1

სურ. 17. მალხაზის წვერი 2026. თხრილი TT02, გეგმა №2



სურ. 18. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, აღმოსავლეთ პროფილი, სტრატიგრაფიული ჭრილი



სურ. 19. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, დასავლეთ პროფილი, სტრატიგრაფიული ჭრილი



სურ. 20. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, სამხრეთ პროფილი, სტრატიგრაფიული ჭრილი



სურ. 21. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, ჩრდილოეთ პროფილი, სტრატიგრაფიული ჭრილი

სურ. 22. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1-7 — კონტექსტი MT26-01-01; №8-14 — კონტექსტი MT26-01-02. (№2, №11-14 — ანტიკური ხანა; №1, №3-10 — გვიანი ბრინჯაოს ხანა)

სურ. 23. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1-9 — კონტექსტი MT26-01-04

სურ. 24. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1- 3— კონტექსტი MT26-01-05

სურ. 25. მალხაზის წვერი 2026 წ. თხრილი №1, გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1- 12— კონტექსტი MT26-01-05

სურ. 26. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1- 9— კონტექსტი MT26-01-05

სურ. 27. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1-3 — კონტექსტი MT26-01-09; №4-9 — კონტექსტი MT26-01-11; №10-19 — კონტექსტი MT26-01-12; №20-27 — კონტექსტი MT26-01-13. (№1-7, №10-11 — ანტიკური ხანა; №8-9, №12-27 — გვიანი ბრინჯაოს ხანა)

სურ. 28. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1- 12— კონტექსტი MT26-01-14

სურ. 29. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები: №1- 13— კონტექსტი MT26-TT01-06

სურ. 30. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, **თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები:** №1-4 — კონტექსტი MT26-TT01-07; №5 — კონტექსტი MT26-TT01-12; №6-8 — კონტექსტი MT26-TT01-02. (№7— ანტიკური ხანა; №1-6, №8 — გვიანი ბრინჯაოს ხანა).
№8 **ქვის არქიტექტურული დეტალი** — კონტექსტი MT26-TT01-02.

სურ. 31. მალხაზის წვერი 2026. თხრილი №1, **კრამიტის ფრაგმენტები:** №1-3 — კონტექსტი MT26-09-07; №4-5 — კონტექსტი MT26-01-11; №6-7 — კონტექსტი MT26-01-12; №8-10 — კონტექსტი MT26-01-13.

სურ. 32. მალხაზის წვერი 2026. საცდელი თხრილები TT01 და TT02, **კრამიტის ფრაგმენტები**: №1-5 — კონტექსტი MT26- TT01-01; №5 — კონტექსტი MT26- TT01-04; №7-9 — კონტექსტი MT26- TT01-06; №10 — კონტექსტი MT26-TT01-07; №11 — კონტექსტი MT26-TT02-02.

სურ. 33. მალხაზის წვერი 2026 . №1-16 — **ბრინჯაოს არტეფაქტები** (№1 — კონტექსტი MT26-01-01; №2 — კონტექსტი MT26-TT01-06; №3-10 — კონტექსტი MT26-TT01-12; №11-16 — ანაკრეფი მასალა); №17 — **ძვლის მძივი** (კონტექსტი MT26-TT01-06); №18 — **სარდიონის მძივი** (კონტექსტი MT26-01-11); №19-24 — **თიხის რქისებრი შვერილები** (№19 — კონტექსტი MT26-01-11; №20-21 — კონტექსტი MT26-01-10; №22-23 — კონტექსტი MT26-01-12; №24 — კონტექსტი MT26-01-14); №25-27 — **ზოომორფული ქანდაკებების ფრაგმენტები** (№25 — კონტექსტი MT26-01-12; №26 — კონტექსტი MT26-01-14; №27 — კონტექსტი MT26-TT01-01)



სურ. 34. მალხაზის წვერი 2026. **ნატკეცი ქვის მასალა (ობსიდიანი, კაჟი):** №1 — კონტექსტი MT26-01-01; №2 — კონტექსტი MT26-01-02; №3 — კონტექსტი MT26-01-04; №4 — კონტექსტი MT26-01-14; №5 — კონტექსტი MT26-01-05; №6 — კონტექსტი MT26-01-09; №7 — კონტექსტი MT26-01-10; №8 — კონტექსტი MT26-01-11; №9 — კონტექსტი MT26-01-12; №10 — კონტექსტი MT26-01-06; №11 — კონტექსტი MT26-TT01-09.